განათლების მუშაკი

№ 9

გამოცემა საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირისა
ტფილისი
1928

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

განათლების ფრონტი

პროფესიონ. კავშირების ცენტრალური საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის ორგანო

რედაქციის მისამართი: ფარცხალაძის ქუჩა №3. განათლების მუშაკთა ცენტრალური სახლი

№ 9 თებერვლის 1 № 9

სოფლად მომუშავე განათლების მუშაკებს

ს. ს. რ. კ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით მიმდინარე წლის თებერვლიდან დაიწყება ხელის მოწერა სასოფლო მეურნეობის განმამტკიცებელ მომგებიან სესხზე. ამ სესხის მიზანია არა მარტო იმ მიღწევათა შენარჩუნება, რომელიც საკმაოდ მოგვეპოვება სასოფლო მეურნეობის დარგში, არამედ ამ მიღწევების ინტენსიური ზრდა, გამცდარ ნიადაგის მაქსიმალურად გამოყენება, გაუმჯობესებულ იარაღებისა და მანქანების შეძენა, სამელიორაციო და საირრიგაციო ღონისძიებათა გადიდება და სხვა, რაც სასოფლო მეურნეობის პროდუქციის საერთო ზრდასთან ერთად საშუალებას მოგვცემს ადგილზე დავამუშავოთ სასოფლო მეურნეობის პროდუქტები. ამრიგად, ზემეტია იმის მტკიცება, თუ რა დიდი მნიშვნელობა ეძლევა სასოფლო მეურნეობის განსამტკიცებელ სესხს განსაკუთრებით ჩვენთვის, ვინაიდან ჩვენი ქვეყანა ხომ უაღრესად სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა.

ეს გარემოება განსაკუთრებულ გულის ყურსა და ენერგიის გაღებას მოითხოვს ჩვენგან, უდიდესი მნიშვნელობა ამ სესხის განაღდების საქმეში ეძლევა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და განსაკუთრებით, იმ კულტურულ ძალებს, რომლებიც ჩაბმული არიან მუშაობაში სოფლად და უშუალოდ აწარმოებენ გლეხობას შორის ყოველდღიურ საქმიანობას.

ჩვენი გლეხობა ქალაქის პროლეტარიატთან შედარებით ნაკლებათ ჩაბმულია საზოგადოებრივ მუშაობაში და მისი კულტურულ განვითარებისა და ნივთიერ გაჯანსაღების საქმეც სათანადო სიმაღლეზე არ დგას. აი რატომ არის, რომ სასოფლო ორგანიზაციებს, სოფლად მომუშავე ამხანაგებს მმართებთ გამო-

5 219

Библиотека Академии наук Грузинской ССР имени Акад. И. Гришашвили

ამჟღავნონ უდიდესი ინიციატივა და გიმოიჩინონ სააგიტაციო უნარი ამ განსაკუთრებულ—ჩვენთვის საჭირო-სესხის განაღდების საქმეში.

სოფლად მომუშავენო, განათლების მუშაკნო!

თქვენი მოვალეობაა საგლეხო სესხის გავრცელებაში უშუალო მონაწილეობასთან ერთად დაუღალავი და ნაყოფიერი მუშაობა აწარმოოთ სოფლის მოსახლეობაში განუმარტოთ და შეაგნებინოთ მათ საგლეხო სესხის მნიშვნელობა, აუხსნათ საკავშირო მთავრობის მიერ დაწყებულ ამ მეტად საჭირო ღონისძიების ნაყოფიერება და სხვა.

სასოფლო მეურნეობის განსამტკიცებელ სესხს გარდა თავისი პირდაპირი ეკონომიური მნიშვნელობისა უდავოდ აქვს აგრეთვე პოლიტიკური შეფასება.

სოფლად მომუშავენო, განათლების მუშაკნო! განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობა მოგმართავთ თქვენ და მოგიწოდებთ, არ დაიშუროთ თქვენი ძალა, გამოამჟღავნოთ უდიდესი მოხდომება, თქვენი ავტორიტეტი და გამოცდილება, მაქსიმალურად გამოიყენოთ სასოფლო მეურნეობის განსამტკიცებელ სესხის განაღდების საქმეში.

გვინდა ვიწამოთ, რომ საზოგადოებრივ მუშაობაში გაწვრთნილნი და გლეხობას შორის მომუშავე განათლების მუშაკნი ამ შემთხვევაშიაც შეასრულებენ საკავშირო მთავრობის დავალებას მთელი 100%-ით.

საქ. განათ. მუშ. კავშირის ცენტრ. გამგეობა.

სოფლის სამეურნეო სესხი მიზნად ისახავს სოფლის სოციალისტურად გარდაქმნას.

სოფლის მასწავლებელო, ჯერი შენზეა!

საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური ზრდის სისწრაფე მთელს კაცობრიობას აცვიფრებს. გიგანტიური ნაბიჯები, რომელსაც ის სდგამს ქვეყნის აღორძინების საქმეში, არის ის ტალისმანი, რომლის საშუალებითაც ომის და სიმშილის მიერ გადაჩრავბული მეურნეობა კვლავ დაუბრუნდა ომამდე არსებულ მდგომარეობას. მაგრამ ომამდე არსებული დონე განა იდეალია? პირიქით, ჩვენს მიზანს შეადგენს, რომ ქალაქისა და სოფლის პროდუქცია გავზარდოთ საერთოდ შესაძლებელ მაქსიმუმამდე, რომ ამ გზით დაკმაყოფილებულ იქნას მთელი მშრომელი მასის ყოველგვარი მოთხოვნილება.

საბჭოთა რესპუბლიკის უახლოეს მიზანს შეადგენს, რომ მთელი სახალხო მეურნეობა მოაწყოს სოციალისტურად. ქალაქში ამ მიმართულებით უკვე სწარმოებს უდიდესი შემოქმედებითი მუშაობა. ახალ ტეხნიკურ საფუძველზე შემდგარი ჩვენი სოციალისტური მრეწველობა საათობით იზრდება და ამ ზრდის პროცესის დაჩქარებაში დიდი როლი ითამაშა თვით ქარხნის მუშამ, ინდუსტრიალიზაციის სესხზე ხელის მოწერით. როგორც ვიცით, 6 მილიონიანმა მუშათა არმიამ, როგორც ერთმა კაცმა, შეიძინა 200 მილიონის ობლიგაციები.

სოფლის მეურნეობის ზრდის ტემპი უკან რჩება მრეწველობის ზრდის სისწრაფეს და ამის მოსპობის მიზნით საჭიროა რადიკალურ ზომისათვის მიმართვა. თუმც მიწა საკმაოდ გვაქვს, მაგრამ პრიმიტიულ იარაღით დამუშავებული ის იძლევა გაცილებით ნაკლებ მოსავალს, ვიდრე ტეხნიკურად დაწინაურებულ ქვეყნებში. ამ მდგომარეობისგან თავის დაღწევა შეიძლება გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო იარაღების შემოღებით, ნიადაგის ხელოვნური განაყოფიერებით, მორწყვის საქმის გაუმჯობესებით, სათესლეს შერჩევით, ახალ ტეხნიკურ კულტურათა გავრცელებით, საექიმო დახმარების და ყოველგვარ რჩევა-დარიგების გაძლიერებით და სხვა. ცხადია, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს და კიდეცაც ზრუნავს ჩამოთვლილ საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის, მაგრამ თვით გლეხობამაც უნდა მიიღოს მონაწილეობა საკუთარ კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში. მეXV-ე ყრილობის დადგენილებათა ერთ მუხლში ნათქვამია: „ს. ს. რ. კავშირის სოციალიზმის გზით განვითარების ერთ-ერთი ძირითადი წინამძღვარია, სოფლის საწარმოო ძალთა განვითარება და გლეხურ მასის კეთილდღეობის ზრდა. ამ მიზნით, როგორც გლეხობამ, ისე სახელმწიფომაც უნდა გაიღონ თანხები, რომელიც მოხმარდება სასოფლო მეურნეობის მაშინიზაციას და საირიგაციო-სამელიორაციო მუშაობას“. მთავრობა თავის მხრივ ძალიან ბევრს აკეთებს სასოფლო-მეურნეობისათვის. ის ხელმძღვანელობს მიწად-მოწყობის საქმეს; აწვდის გლეხობას მიწის გასანოყიერებელ მინერალურ საშუალებას; უმსუბუქებს გადასახადის ტვირთს ღარიბ და საშუალო გლეხობას, აწვდის მათ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს და, რაც მთავარია, დიდ დახმარებას უწევს მეურნეობის წინსვლას ფულით. 1924-25 წ. სა-

მეურნეო წელს, სასოფლო მეურნეობისათვის გაღებულ იქნა 300 მილ. მან., 1925-26 წ.—450 მილ., 1926-27 წ. 550 მილ. და 1927-28 წ. 700 მილ. მან., მაგრამ ეს თანხა არ კმარა, ის ვერ აკმაყოფილებს სოფლის მთელს მოთხოვნილებას და სახელმწიფოს კი მეტის გაღება არ შეუძლია. ვის უნდა მიმართოს მან ამ შემთხვევაში დახმარებისათვის, თუ არა თვით გლეხობას? მთავრობის გრანდიოზულ განზრახვათა განხორციელება შესაძლებელია იმ პირობებში, თუ რომ თვით სოფელი იქნება მისი ერთგული და აქტიური თანაშემწე. ამ ერთგულების და აქტივობის გამოჩენის შესაძლებლობა გლეხობას აქვს ეხლა—,,**სასოფლო მეურნეობის განმტკიცების სესხი**'' რეალიზაციასთან დაკავშირებით. ამ სესხს, 100 მილიონ მანეთის რაოდენობით, უშვებს საკავშირო მთავრობა და **თითო ობლიგაცია ღირს სულ 10** მანეთი. **ნაკლებ შეძლებულ გლეხებს შეუძლიათ შეისყიდონ ობლიგაციის ¼-დი, ღირებული 2 მან. 50 კ. ობლიგაცია წლიურად იძლევა მანეთზე 6 კაპ. მოგებას და თითოს შეუძლია მოიგოს 50-დან 1000 მანეთამდე.** მომგებიანი ბილეთების რაოდენობა უდრის 332.640. 1929 წ. 1 **ივლისიდან ობლიგაციები მიიღება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ანგარიშში** თუ კი მოისურვებს, პატრონს შეუძლია ყოველთვის გაჰყიდოს თავისი ობლიგაცია. 1931 წ. 1 **თებერვალს კი სახელმწიფო გამოისყიდის ობლიგაციას.** როგორც ვხედავთ, დასახელებული საკრედიტო ოპერაცია ყოველ მხრივ ხელსაყრელია გლეხობისათვის. უპირველეს ყოვლისა, გლეხს უნდა ჰქონდეს მოგების დიდი იმედი და თუ ეს არ მოხდა, ყოველ შემთხვევაში, მას ენახება თანხა და დანიშნულ დროზე პროცენტებით უნაღდებენ. მანამდე კი გლეხის მიერ გაღებული ყოველი კაპეიკი ხმარდება მისივე მეურნეობის წინსვლა-აღორძინებას.

მაგრამ ვინ უნდა გააგებიოს გლეხს ამ სესხის ხასიათი და მნიშვნელობა? სესხის იდეის პოპულიარიზაციაში უაქტივესი მონაწილეობა უნდა მიიღოს გლეხის უახლოესმა მეგობარმა—სოფლის მასწავლებელმა.

მასწავლებელი გლეხის მესაიდუმლეა, ის მისი ჭირ-ვარამის გამზიარებელია და ამიტომაც არის რომ, სოფელი მას სთვლის კულტურულ წინამძღოლად.

აი ეხლა, სესხის რეალიზაციის საქმეში უნდა დაეხმაროს მასწავლებელი სახელმწიფოს თავის ავტორიტეტით. გლეხს, მასწავლებელმა უნდა ურჩიოს, აუხსნას და დაუმტკიცოს, რომ სესხის სრული და სწრაფი რეალიზაციისაგან არის დამოკიდებული სოფლის მატერიალურ და კულტურულ დონის ამაღლება. მასწავლებელმა უნდა განუმარტოს სოფელს, რომ ობლიგაციების შეძენას მოჰყვება სასოფლო მეურნეობის მაშინიზაცია და მაშასადამე პროდუქციის ზრდაც.

ყველაფერი ეს ერთის მხრივ ასწევს სოფლის ყიდვითი უნარიანობას და მეორეს მხრივ გააიაფებს სამრეწველო საქონელს, რაც შეადგენს გლეხობის, როგორც ამ საქონლის მთავარ მომხმარებლის ინტერესს.

სესხის გარშემო წარმოებული ახსნა-განმარტებითი მუშაობა ჩატარებულ უნდა იქნას ქოხ-სამკითხველოებში, წითელ კუთხეებში და კედლის გაზეთის საშუალებით.

მასწავლებლის პროპაგანდა არ უნდა განისაზღვროს მხოლოდ სკოლის და სამკითხველოს ფარგლებით. პირიქით, პარალელურად კოლექტიურ ახსნა განმარტებისა, მასწავლებელმა უნდა მიმართოს ინდივიდუალურ დამუშავების ხერხსაც.

სოფლის მასწავლებელნო! გახსოვდეთ, რომ თქვენ ვალად გაწევთ მოაგვაროთ დიდი საზოგადოებრივ სახელმწიფო მნიშვნელობის საქმე.

გახსოვდეთ, რომ თქვენი ავტორიტეტი სოფლად, დიდ როლს ითამაშებს საგლეხო სესხის რეალიზაციაში და ამიტომ ჯერი თქვენზეა!

სოფლის ინტელიგენციის და განსაკუთრებით განათლების მუშაკთა აქტივობაზეა დამოკიდებული საგლეხო სესხის ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობის პროპაგანდა გლეხთა შორის.

პროფ. გ. ახვლედიანი.

საქართველოს მეცნიერების მუშაკთა სარესპუბლიკო კონფერენციის გამო

(1928 წ. 28 იანვარს).

ამ დღეებში პირველად შეიკრიბება საქართვ. მეცნ. მუშაკთა სარესპუბლიკო კონფერენცია, რომელიც მოწოდებულია გაეცნოს და მსჯავრი დასდოს დღემდე არსებული მეცნ. მუშ. სექციის ბიუროს მუშაობას, განამტკიცოს სექციის არსებობა და მისცეს მის მიერ ახლად არჩეულ სამუშაო აპარატს გარკვეული სახე და მიმართულება.

მართალია, სექცია არსებობს 1924 წლიდან, ამავე წლიდან არსებობს საქალაქო კონფერენციის მიერ არჩეული ბიურო, მაგრამ მისი გამოცოცხლება და საკმაოდ საგრძნობი მუშაობა ხდება ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით—უკანასკნელი წლისა. იმ მრავალ მაზეზთა შორის, რომელნიც ხელს უშლიდენ საქართვ. მეცნიერების მუშაკს ჩაბმულიყო სექციურ მუშაობაში და ჩამოეყალიბებია იგი რიგიანად, უმთავრესია, ჩვენის აზრით, სამეცნიერო ძალების ზომაზე მეტი დატვირთულობა—ზოგჯერ იძულებითი და ზოგჯერ თავის ნებითი: იძულებით ტვირთავდა მეცნ. მუშაკს, როგორც სპეციალისტს თავის საქმისას, სახელმწიფო და საზოგადოებრიობა, რომელნიც უდგენდენ მას მით უფრო მეტ მოთხოვნილებებს, რაც უფრო უკეთესი მცოდნე იყო იგი თავის საქმეში და რაც უფრო ნაკლები იყო ასეთთა რიცხვი; თავის ნებით კი იტვირთებოდა იგი, როგორც ზედმეტი სამუშაოს მაძიებელი—თავისი ძირითადი ხელფასის სიმცირის გამო. დიდი შემაფერხებელი მნიშვნელობა ჰქონდა სექციური მუშაობისათვის იმ გარემოებასაც, რომ მეცნ. მუშაკი ძალიან ხშირად პირველი დამწყები იყო თავისი საქმისა უმაღლეს სკოლაში ან სხვა სამეცნ. დაწესებულებაში, რის გამოც მას უხდებოდა თავისი დროის ბიუჯეტი დაეხარჯა სამეცნ. საორგანიზაციო მუშაობაში (იგულისხმება ლაბარატორიებისა, კაბინეტებისა, კათედრებისა და სხვ. დაარსება-მოწყობა)... ეს და სხვა ასეთი მიზეზები აფერხებდენ მეცნიერთა სექციურ მუშაობაში ჩაბმას. ზოგიერთი ამ მიზეზთაგანი დღესაც ძალაშია, განსაკუთრებით— ხელფასის სიმცირე; ამიტომაა ჩვენი სექციური პროფაქტივი ასე მცირე (10%-მდე). მაგრამ მდგომარეობა საერთოდ უმჯობესდება: თვით ხელფასის საქმეც კი (მართალია ძალიან ნელის ნაბიჯით), თანდათან სწორდება; სექციის ხელმძღვანელი ორგანოს (ბიუროს) გაცნობამ სხვა საკავშირო რესპუბლიკებში ანალოგიურ მუშაობასთან აგრეთვე საგრძნობი როლი ითამაშა სექციის გამოცოცხლებაში: დამყარებულია ცოცხალი კავშირი და ურთი-

ერთ გამოცდილებებით სარგებლობა; თანდათან წესრიგდება შეთანხმებული მუშაობა განათლ. სახალხო კომისარიატთან; სექცია თანდათან იმსახურებს ფართე მასების ყურადღებას, და იზრდება მისი ავტორიტეტი, როგორც სამეცნიერო წრეებში, ისე მის გარეთაც. დასაძლევია მხოლოდ მეცნიერების მუშაკის სამწუხარო ინდიფერენტიზმი პროფესიულ მუშაობისადმი...

სექციას შეადგენს 358 წევრი; ამას ემატება აღრიცხვაზე აყვანილი 52 მეცნიერების მუშაკი, რომელნიც არ ითვლებიან განათლ. კავშირის წევრებად. რამდენიმე წევრი იმყოფება ტფილისს გარეთაც. სექციის სამუშაო აპარატს წარმოადგენს 7 წევრისა და 2 კანდიდატისაგან შედგენილი ბიურო (არჩეულია 1925 წლ. ივლისში საქალაქო კონფერენციის მიერ). მნიშვნელოვანი საკითხების განხილვისას ბიურო იწვევს სექციის სხვა წევრებსაც. ბიუროს ჰყავს კომისიები—მუდმივი (საკვალიფიკაციო, სატარიფო-ეკონომიური) და დროებითი. სექციის სახსარს წარმოადგენს 50% იმ თანხისა, რომელიც შეაქვს სექციის წევრს კავშირის საერთო კასაში; გროვდება საშუალო ოდენობის თანხა, რომელიც იხარჯება წევრთა დახმარებასა, კულტმუშაობასა, სანატორიულ-საკურორტო და სხვა ამგვარი საჭიროებისათვის. ბიურო სრულიად უსასყიდლოდ ასრულებს თავის მოვალეობას. ამ თანხებიდან უკვე ეწყობა „მეცნიერთა კუთხე“ განათლ. მუშ. სახლთან. საუკეთესოა სექციის დამოკიდებულობა განათლ. კავშირის ცენტრ. გამგეობასთან, რომლის დახმარებითაც ძალიან ხშირად სარგებლობს სექციის ბიურო. სექციას ჰყავს თავისი წარმომადგენლები განსახკომის სხვადასხვა ორგანოებში, უმაღ. სასწ., სამეცნ. დაწესებულებებსა და მათ ადგილკომებში. ბიუროს გაფართოებულ სხდომებზე ხდება უმაღ. სასწავლ. და სამეცნ. დაწესებულებათა მოხსენებები მათი მიმდინარე მუშაობისა და სამომავლო სამუშაო გეგმების შესახებ. ამ მუშაობის გაგრძელების გარდა მომავალმა ბიურომ განსაკუთრებულ ყურადღების საგნად უნდა გაიხადოს „მეცნიერთა სახლის“ შექმნა, ურომლისოდაც ძალიან შეფერხებულია მეცნ. მუშაკთა სათავისო კულტმუშაობა, და ადგილკომებში მეცნ. მუშაკთა მეტი აქტიობის გამოჩენა.

სატარიფო-ეკონომიური საკითხები მუდამ ყურადღების ცენტრში ჰქონდა სექციის ბიუროს, ვინაიდან მას გათვალისწინებული აქვს, თუ როგორი მეცნიერული დაქვეითება მოსდევს ხელფასის სიმცირესთან დაკავშირებულ ძიებას ზედმეტი სამუშაოსას. სექციის ბიურომ მიმართა მრავალგვარ ზომას ამ საკითხის გასახმაურებლად, რათა ეგრძნოთ სათანადო ორგანოებს მეცნ. მუშაკთა (პირველ რიგში—პედაგოგიურისა) სავალალო მდგომარეობა: მოეწყო წარს. ზაფხულში ამიერ-კავკასიის სექციების ბიუროთა ყრილობა, გაიგზავნა დელეგაციები სადაც ჯერ არს და სხვ. ცდები უშედეგოდ არ დარჩა. მართალია, დღესაც ჩამორჩენილნი ვართ ყველა რესპუბლიკებს (სომხეთს გარდა) ხელფასის მხრივ, მაგრამ მაინც დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს, მაგ. პროფესორის ხელფასის 72 მანეთიდან 110 მანეთზე ერთბაშად გადასვლა (დაახლოებ. შესაფერად სხვა სამეცნ. კატეგორიებისაც). ამ ჟამად სწარმოებს მუშაობა სამეცნ. დაწეს—თა თანამშრომლების ხელფასის მომატების გარშემო, და ყოველგვარი ზომა უნდა ვიხმაროთ,

რომ ისიც წარმატებით დაგვირგვინდეს. მომავალში ჩვენ გვმართებს მოვსპოთ საათობრივი ხელფასი და გადავიდეთ თანამდებობრივ-საშტატო ჯამაგირებზე, რა თქმა უნდა, არა იმ ფონდით, რომელიც დღესა გვაქვს. ასეთია ცენტრ. საბჭოს მე-III პლენუმის დადგენილებაც. ამისათვის კი საჭიროა მოხდეს უმაღლ. სასწ—თა სასწავლო გეგმების რაციონალიზაცია და დაწესდეს მტკიცე შტატები.

საგანგებოდ აღსანიშნავია სექციის კულტ.-განმანათლ. მუშაობა, განსაკუთრებით—სასხვისო: ეწყობა მთელი რიგი ლექციებისა და საუბრებისა (ზოგი სისტემატიურად წლიური) მრავალ სხვადასხვა საკითხებზე განათლ. მუშაკთა და გლეხის ცენტრ. სახლში. იყო ცდები ასეთი მუშაობის გადატანისა ტფილის გარედაც. საჭიროა გაძლიერდეს ეს მუშაობა კიდევ მეტად ფართე მასებში.

სამაგიეროდ თითქმის არაფერია გაკეთებული სათავისო კულტმუშაობის მხრივ—„მეცნიერთა სახლის“ უქონლობის გამო.

სექციის ბიურომ გაფართოებულ სხდომებზე დაამუშავა და წარადგინა სათანადო ინსტანციებში დასამტკიცებლად საპენსიო დებულებანი, სამეცნ. ხარისხისა და თანამდებობათა წესების პროექტი და ახალგაზრდა მეცნიერთა მომზადების წესები (საასპირანტო დებულებანი). მომავალ ბიუროს ევალება დააჩქარებინოს ამ საკითხების გატარება და გამოქვეყნება.

სექციის ბიურო იღებს მონაწილეობას და ხელს უწყობს საამშენებლო კოოპერატივს („საბჭოთა საქართველოს მეცნიერების მუშაკი“).

დამთავრებულია და მალე დაიბეჭდება საცნობო წიგნი „საქართვ. მეცნ. მუშაკნი“. ბიუროს განზრახული აქვს ხელი შეუწყოს სამეცნ. გამომცემლობას და თვითონვე გამოსცეს მთელი რიგი შრომათა. ძმობილ ბიუროს უნდა დაეეალოს გააფართოოს ეს საქმე და გამონახოს საჭირო თანხები.

სექცია იზრდება ორი გზით: ბუნებრივისა და ჯერ კიდევ აღურიცხველთა სექციაში მიღების გზით; იზრდება ამასთანავე მისი საქმიანობა და ავტორიტეტიც. თუ ასეთივე ტემპით გაგრძელდა მისი მუშაობის გაჩაღება, როგორც ეს მიმდინარეობდა უკანასკნელ წელს, შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ მეცნ. მუშაკის ყველა საჭირბოროტო საკითხი იპოვის გამოძახილს ჩვენს სექციაში და ამასთანავე იგი შეასრულებს თავის საზოგადოებრივ დანიშნულებას.

ტრ. ხუნდაძე.

მასწავლებლის მუშაობა სოფლად.

სოფლის კულტურულად წინსვლის საქმეში უდიდესი საქმის გაკეთება შეუძლია მასწავლებლობას. ძველადაც მასწავლებელი სოფლად ერთად-ერთ კულტურულ ძალას წარმოადგენდა; მართალია, სახალხო მასწავლებელთა დიდი ნაწილი ცარიზმის რეჟიმით დაბეჩავებული და განართხული იყო, მაგრამ საკმაოდ მოიძებნებოდა სოფლად ისეთი მასწავლებლები, რომელთაც თავის მოვალეობად სოფლის კეთილდღეობა ჰქონდათ დასახული. ის იყო გაჭირვებული გლეხის დამხმარე და ძრჩეველი; იგი ეწეოდა სოფლად ყოველგვარი კულტურული ხასიათის მუშაობას; სამკითხველოების გახსნა, გაზეთების მიწოდება გლეხებისათვის და მისი კითხვა, წარმოდგენების გამართვა, ანტირელიგიოზური ხასიათის საუბრები, რევოლუციონური მუშაობა და მრავალი სხვა მასწავლებელს ჰქონდა დაკისრებული არა ვისიმე კარნახით, არამედ საკუთარი შეგნებითა და მოწოდებით. მას ამ საქმეში ხელს არავინ უწყობდა, მას ამისათვის არავინ აჯილდოვებდა; პირიქით, მაშინდელი მთავრობა მას ამისთვის სდევნიდა, სჯიდა და ხშირად შორეულ ქვეყანაშიც აგზავნიდა.

დღეს მდგომარეობა სხვაგვარია; ხელისუფლების მუშაობა კეთილდღეობისაკენ არის მთლიანად მიმართული; მაგრამ ჩვენი სოფელი კულტურული ძალებით დღესაც იმდენად ღარიბია და გასაკეთებელი იმდენია, რომ სოფლის კულტურულად წინსვლის საქმეში ადგილობრივად მომუშავე მასწავლებელს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მასწავლებელი უნდა გახდეს უახლოეს დამხმარე ძალად სოფლის კულტურულად წინსვლის საქმეში. ის არ უნდა დაკმაყოფილდეს ხელისუფლების მიერ მიღებულ ღონისძიებათა ხელისშეწყობით, ხშირად მთავრობის წარმომადგენლებს ადგილებზე, განსაკუთრებით თემებში, ნათლად არც კი აქვთ წარმოდგენილი კულტურულ სფეროში მუშაობის ხასიათი: ან ვერ სწვდებიან მას, ან სთანადო ყურადღებით ვერ ეპყრობიან. აქ ინიციატივა უნდა იკისროს მასწავლებელმა, რადგან მას კარგად ესმის, თუ რას საჭიროებს სოფელი, რა აკლია მას, რის გაკეთებაა საჭირო და რა გზით. კულტურულ დარგში მასწავლებელი თემალმასკომის მარჯვენა ხელი უნდა იყოს. მასწავლებელი სოფლად არ უნდა დაკმაყოფილდეს მარტო ხელმძღვანელობით; ის აქტიურადაც უნდა ჩაებას პრაქტიკულ მუშაობაში. ის უნდა აწარმოებდეს წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაციას; უნდა აარსებდეს ქოხ-სამკითხველოს, უნდა უკითხავდეს და უმარტავდეს საგაზეთო წერილებს გლეხობას. კოოპერაცია, სცენა, აღმშენებლობა, ლექციები და მოხსენებები და მრავალი სხვა არ უნდა დარჩეს მასწავლებლის ყურადღების გარეშე. **მაგრამ არც ერთს ამ დარგის მუშაობას არ უნდა ექნეს ძალდატანების ხასიათი. ყველაფერი ეს უნდა გამომდინარეობდეს მასწავლებლ ს შეგნებისა და სურვილისაგან.** არავის არა აქვს უფლება მასწავლებლებს იძულებით დააკისროს საზოგადოებრივი ხასიათის მუშაობა. მაგრამ მასწავლებელი თავის

დანიშნულებას ვერ შეასრულებს, ის მასწავლებელთა საუკეთესო ნაწილის ტრადიციების მატარებელი არ იქნება. თუ დაკმაყოფილდა მხოლოდ თავისი პირდაპირი დანიშნულებით და სიბნელით მოცულ სოფელს თავის ცოდნასა და ენერგიას არ მოახმარს. მართალია, მძიმეა სახალხო მასწავლებლის მდგომარეობა სოფლად მრავალი მხრით. გარდა ნივთიერი მდგომარეობის სიმძიმისა, მას ხშირად სხვა მხრითაც ავიწროებენ. არის შემთხვევა, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლები ადგილებზე ვერ აფასებენ მასწავლებლის მუშაობას და უნდობლად უყურებენ მას, რაც მასწავლებელს საზოგადოებრივი ხასიათის მუშაობის ხალისს უკარგავს. არის ისეთი შემთხვევა, როდესაც რაიმე პირადი მოსაზრებით ზემდგომი ორგანოს წარმომადგენელ სტუქსავს და სჯის მას. აი, მაგ., რას ვკითხულობთ გაზეთში „ახალი სოფელი“ № 162. რამოდენიმე ხნის წინად ხუნევის (შორაპნის მაზრა) მასწავლებლებმა „ფიზკულტურები“ (ჩხუბი) გამართეს. მასწავლებელი გრიშა გოგოლაძე გამშველებლის როლს თამაშობდა. მოხდა გამოძიება, მაგ., შორაპნის მაზრის განათლ. განყ. ინსტრუქტორმა— ღვალაძემ მიუდგომლობა ვერ გამოიჩინა, რისთვისაც ის გაზეთში გასწერეს. ამ უკანასკნელმა გოგოლაძეზე ეჭვი მიიტანა, (რადგან ი ოდენ, რომ ის გლეხკორი იყო, ნამდვილად კი—ღვალაძეზე მოთავსებული წერილი არ ეკუთვნოდა გოგოლაძეს). ღვალაძე ხომ „პატარა კაცი“ არ არის, ის ინსტრუქტორია...

მან „ურჩინა“ სრულიად უდანაშაულო გლეხკორ გოგოლაძეს და რამოდენიმე ათეულ ვერსით მოაცილა თავის სოფელს; თავის სოფლიდან, ბჟინევის სკოლიდან, ნაბადურის სკოლაში გადაისროლა, გადაასახლა რაღა“... „იმ წერილში, რომელიც ამ საქმის გამოკვლევის შემდეგ მიიღო გრ. გოგოლაძემ განათლების განყოფილების ერთ-ერთ პასუხისმგებელ მუშაკისაგან, სწერია: „ძმაო გრიშა! იცი რა? ამ წელიწადში უნდა დააჩინო კვალი ნაბადურის სკოლას: **თუ ძმა ხარ არ ამოიღო ხმა, წერასაც თვი გაანებე.** აბა შენ იცი“. მასწავლებლის უფლებრივი მდგომარეობის დაცვა ხელისუფლებისა და პარტიის ყურადღების საგნად გახდა. განსაკუთრებით, ამ ბოლო ხანებში და ამ მხრით ბევრიც რამ გაკეთდა; ეხლა ასეთ მოვლენებს მხოლოდ გამონაკლისის სახით აქვს ადგილი. საერთოდ ორგანოები, მათ შორის პროფკავშირიც ფხიზლად ადევნებს თვალს მასწავლებლის უფლების დაცვას და თუ მის დარღვევას ადგილი ექნება სამუშაოდ, ის დაუყონებლივ ღებულობს ზომებს შეცდომის გამოსასწორებლად და ღირსეულად დასჯილის უფლებათა აღსადგენად. მაგრამ რადგან ჩვენი კავშირის ცხ. გამგეობამდი შეიძლება ყოველთვის არ მიაღწიოს ანალოგიურმა შემთხვევებმა, ამიტომ სამაზრო განყოფილებანი, განსაკუთრებით ადგილობრივები, ფხიზლად უნდა ადევნებდენ თვალყურს ასეთ მოვლენებს და დაუყონებლივ საერთოდ ზომებს ღებულობდენ. ამ მხრით დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია ყოველდღიურ პრესასაც; როგორც გლეხკორები, ისე მასწავლებლები უნდა აშუქებდენ მასწავლებლის სოფლად მუშაობასა და ამ მუშაობის ხელის შემშლელ პირობებს.

„ახალი სოფლის“ იმავე ნომერში სოფ. ახმეტიდან იწერებიან: „აქაურ გლეხთა ახალგაზრდობის სკოლის გამგედ არის აგრონომი გიორგი თუშიშვილი,

რომელმაც **კერძო ინტერესით სამსახურიდან მოხსნა ზედმიწევნით პატიოსანი და ღირსეული მასწავლებელი ვასო მათურელი.** და ეს იმ დროს, როდესაც მასთან მსახურობს მისი ცოლიც, დაც და თელავიდან კიდევ თავისი მამა ჩამოიყვანა სკოლის არაყის სახდელად''. აღნიშნული შემთხვევების გამო ჩვენი კავშირის ც. გამგეობა აწარმოებს სათანადო ორგანოებთან მიწერ-მოწერას საქმის გამოსარკვევად.

ჩვენი მასწავლებლობის დიდი ნაწილი, მიუხედავად ზემოაღნიშნული შემთხვევებისა, ჩაბმულია სოფლად საზოგადოებრივ მუშაობაში; არის მაზრები, სადაც მასწავლებელთა 80 პროც. მონაწილეობას იღებს საზოგადო ხასიათის მუშაობაში. სასურველია, რომ ასეთ პირთა მუშაობამ გამოხატულება პოოს გაზეთის ფურცლებზე, სადაც აღინიშნება მათი მუშაობის ხასიათიც. აი რამდენიმე ცნობა ასეთ მუშაკთა შესახებ: ,,ბოსლევის შვიდწლედის გამგეთ ითვლება ამხ. ფ. ბარბაქაძე, რომლის მუყაითი მუშაობის წყალობით ჩვენი სკოლის საქმე საგრძნობლად გაუმჯობესდა. მან დააარსა კედლის გაზეთი ,,ჩვენი ხმა''.., მან 50 წლის გლეხებს უფასოდ შეასწავლა წერა-კითხვა... ის სოფლის გლეხობას ყოველმხრივ ეხმარება კულტურულ საქმეში'' (,,მუშა'' № 1539).

,,ჩვენს სოფელს (ზედა-ალმე, აჭარა) პირდაპირ ბედი ეწვია მის შემდეგ, რაც მასწავლებლად ჩვენმა საბჭოთა მთავრობამ დაგვინიშნა ამხ. ფ. ებრალიძე. ეს არაჩვეულებრივი მუშაკია, დღედაღამე მუშაობს, მუშაობს სოფლის საკეთილდღეოდ და ფუხარა ხალხის გასანათლებლად.. თავისუფალ დროს ის მიდის ფუხარა ხალხთან და ესაუბრება მათ სხვადასხვა საკითხებზე, რასაც ფუხარა ხალხისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც არის, რომ ჩვენ შეგვაყვარეს სკოლა და არაფერს დავზოგავთ მისთვის'' (,,ფუხარა'' № 4).

,,На днях, по инициативе преподавателей ажарской (აფხაზეთის სვანური ნაწილი) грузшколы т т. Анджапаридзе и Габисония был устроен вечер. Были поставлены две рев. пьески, после которых дети выступили с декламацией. Школьный зал был переполнен сванами... вечер закончился играми, пением, танцами. Крестьяне довольны устройством вечера, внесшим оживление в их жизнь, и хотели бы почаще видеть такие спектакли. (,,Сов. Абхазия'' № 4).

ვიმეორებთ, მიუხედავათ მძიმე და მრავალგვარი დამაბრკოლებელი მიზეზებისა, სახალხო მასწავლებლების დიდი ნაწილი არ კმაყოფილდება თავისი პირდაპირი მოვალეობით და ფართოდ ებმება სოფლად საზოგადო საქმეში. იმისდამიხედვით, რამდენადაც გაუმჯობესდება განათლების მუშაკის ნივთიერი და უფლებრივი მდგომარეობა, იმდენათ ის კიდევ მეტი ენერგიით, ხალისით, ცოდნით და მოცულობით განაგრძობს მუშაობას ჩვენი სოფლის წინ წასაწევად.

ვიმეორებ რომ მასწავლებლის ჩაბმას საზოგადო მუშაობაში არ უნდა ქონდეს დაძალების ხასიათი; დაუშვებელია მასწავლებლის არა სასურველ ელემენტად აღიარება, თუ ის საზოგადო ხასიათის მუშაობას არ ეწევა, მაგრამ თავის პირდაპირ მოვალეობას წესიერად ასრულებს. მასწავლებელი საზოგადო მოღვაწე უნდა გახდეს არა იძულებით, არამედ საკუთარი შეგნებით, მოწოდებით.



ამხ. თ. აბულაძე.

შეიძლება შაბლონიც გახდა სახალხო მასწავლებლის მნიშვნელობაზე ლაპარაკი, მაგრამ მოგონება ამხანაგზე, რომელიც ეგრე უდროოდ გამოაკლდა ჩვენს რიგებს, რომლის არ ყოფნა ასე საგრძნობია ყოველი საზოგადოებრივი მუშაობის დროს, არასოდეს ზედმეტი არ იქნება. თამარ იოსების ასული აბულაძე დაიბადა 1898 წელს, 6 აგვისტოს კიცხის თემში (შორაპნის მაზრა). 1917 წელს ჩააბარა გამოცდები მასწავლებლის წოდებაზე და მალე იქნა დანიშნული კიცხის სკოლაში მასწავლებლად. 1922 წელს იქნა მივლინებული ტფილისის სასკოლო ჰასაკამდე აღზრდის ინსტიტუტში. დანიშნულ იქნა შორაპნის საბავშო ბაღის გამგედ. შემდეგ გადმოიყვანეს ზესტაფონში, 1923 წელს გადმოვიდა კიცხში, სადაც უკანასკნელ ხანამდე მსახურებდა. როგორც მასწავლებელი, ახალი სკოლის მშენებელი, თამარი მუდამ განირჩეოდა. მაგრამ საზოგადოებრივ ფრონტზე უფრო მრავალფეროვანი იყო თამარის მუშაობა. გასაკვირი•არაა, რომ სოფლად უმეტესობა ამ საზომით ჰზომავს მასწავლებელს... და რომელი საზოგადოებრივი ორგანიზაცია დავასახელოთ, ან სხვა—სადაც თამარის მადლიანი ხელი არ ჩარეულიყო?—სცენის მოყვარე, გლეხკომის მდივანი, თემსაბჭოში მუდმივი წევრი, კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრი, რემედასის გამგეობის წევრი, კლუბის გამგეობის თ—რის მოადგილე, ქალთა წრის ორგანიზატორი, პროფწრის, სალიტ. წრის და სხვათა—ხშირი მომხსენებელი და სხ. და სხ. მაღალი ცოდნის მიღების სურვილი თამარს თავიდანვე აქვს, ხოლო საამისოდ ოჯახური პირობები არ უწყობს ხელს. მუშაობს თვითონ შინ, ემზადება და 1927 წელს აბარებს გამოცდებს ზესტაფონის ცხრაწლედის მე-9 ჯგუფში. მალე აქედან გადადის ხარაგოულის 9 წლედში, რომელსაც პედაგ. განხრა აქვს, და მას (9 წლედს) იმავე წელს პირველ მოწაფედ ასრულებს.. თამარი ეხლა უნივერსიტეტში შესასვლელად მუშაობს. მაგრამ ორგანიზმა ვეღარ აიტანა და საკმაო ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ, 12 ნოემბერს გარდაიცვალა დ. ხარაგოულში... ის ხალხი, რომლისთვისაც დაიფერფლა თამარის ახალგაზრდული ენერგია, არასდროს დაივიწყებს მის ამაგს. დაასაფლავეს თამარი 15 ნოემბერს ს. კიცხში.

დ. ყიფშიძე.

ზ უ გ დ ი დ ი

განათლების მუშაკთა კავშირის კონფერენცია. ა/წ. 25 დეკემბერს გაიხსნა განათლების მუშაკთა კავშირის ზუგდიდის სამაზრო კონფერენცია, რომელსაც დაესწრო ცენტრალური გამგეობის წარმომადგენელი ტრ. ხუნდაძე. სამაზრო გამგეობის თავმჯდომარე პ. უგულავას მისასალმებელი სიტყვის შემდეგ კონფერენციამ აირჩია პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: ტრ. ხუნდაძე, პ. უგულავა ვალ. კიტია, გრ. გაბუნია, აკ. ფიჩხაია, ცხომარია, ფიჩხაია და სხ. სულ თერთმეტი კაცის შემადგენლობით. სამდივნოში არჩეული იქნა ნ. ბუკია და გ. ბებია. სამანდატო კომისიაში შ. დადიანი, კ. ჭიქაშვილი და პ. გულუა. კონფერენციის დღის წესრიგში იდგა შ მდეგი საკითხები: 1-ცენტრ. გამგეობის მოხსენება, 2—სამაზრო განყოფილების ანგარიში, 3—სარევიზიო კომისიის მოხსენება, 4—განათლების განყოფილების გამგის მოხსენება, 5—მოხსენება უმუშევრობის შესახებ, 6—არჩევნები და 7—მიმდინარე საკითხები. ც. გ. მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ც. გამგეობის წევრი ხუნდაძე, რომელმაც დაწვრილებით გააცნო კონფერენციას ც. გ. მ-ღწევები. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ძირითადი უჯრედიდან დაწყებული ც. გ. საკავშირო ორგანოები გადასულა გეგმიან მუშაობაზე, რაც დიდათ უწყობს ხელს კავშირებში მუშაობის გამოცოცხლებას. ც. გ. ყავს ოთხი ინსტრუქტორები, რომელნიც დადიან, როგორც სამაზრო განყოფილების გამოსაკვლევად, ისე სოფლის ადგილკომებშიცაო. ამ ჟამად აღმოსავლეთ საქართველოს ოთხი სამაზრო გამგეობა, და რამოდენიმე სოფლის ადგილკომებია გამოკვლეული, რამაც ნათელი წარმოდგენა მისცა გამგეობას, რომ გამოაცოცხლოს მუშაობა. დამხმარე სალაროების მუშაობა დღემდი მოიკოჭლებდა, დღეს კი საგრძნობლად გამოცოცხლებულია. ცენტრ. გამგეობას უდიდესი ყურადღება მიუქცევია მასწავლებელთა ხელფასის საკითხის მოგვარებისათვის. ამ ჟამად დასმულია საკითხი ა/კ. მთავრობის წინაშე რუსეთის მეორე ზონის მასწავლებელთა ხელფასთან გათანასწორების შესახებ, რაც მალე გატარდება, და დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

კულტ-მუშაობას ც. გ. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. მთელ საქართველოში ყოფილა რამდენიმე განკ. მუშ. სახლები. ტფილისის განკ. სახლთან ყოფილა დაარსებული სხვადასხვა ასოციაციები, სადაც სისტემატიურად მიდის მეცადინეობა. შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მეექვსე ყრილობის დადგენილება ჟურნალ „განათლების მუშაკი“-ს გამოცემის შესახებ უკვე დიდი ხანია, რაც გამგეობამ შეასრულა, მაგრამ ხელის მომწერლები ჯერ მცირეა.

ამ მოხსენების ირგვლივ კამათში მონაწილეობა მიიღო 11 კაცმა, მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ მიღებული იქნა რეზოლუცია, ც გ. მუშაობა ცნობილი იქნა სრულიად დამაკმაყოფილებლად. რეზოლუციაში ნათქვამია, რომ გადიდებული იქნეს ინსტრუქტორთა რიცხვი და ც. გ. მეტი ყურადღება მიაქციოს ადგილებს.

2. სამაზრო გამგეობის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა სამაზრო გამგეობის თავმჯდომარე პ. უგულავა, როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სამაზრო განყოფილებას ყავს 600-მდე წევრი, ამათში არის 62 უმუშევარი. სამაზრო გამგეობას მოუხდენია მაზრის ყველა ადგილკომების დათვალიერება, მიუცია სუსტ ადგილკომებისათვის დირექტივები. მუშაობის, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოუწვევია ადგილკომების თავმჯდომარეთა თათბირი სამჯერ. მომხსენებელმა აღნიშნა ურთი-ერთ დამხმარე სალაროების მუშაობის და ზოგიერთი ადგილკომების ნაკლი. ურთიერთ დამხმარე სალაროების მუშაობა თანდათანობით უმჯობესდება. განყოფილებას წევრებზე დავალიანება არა აქვს ყველა წევრები სისტემატიურად იხდიან ანარიცხებს. შემდეგ შეეხო უმუშევრობას და როგორც აღნიშნა მომხსენებელმა უმუშევრობის გამომწვევი მიზეზი უმთავრესად აიხსნება წევრთა მოუმზადებლობით. მაზრაში ყოფილა ისეთი მასწავლებელი, რომელთაც არ ცოდნია მდინარის მარჯვენა და მარცხენა ნაწილი, რაც გამოამჟღავნა საზაფხულო კურსების მსმენელების გამოცთამ. უმიზეზოდ გადაყენებული მასწავლებლობა ყველა აღდგენილია. მხოლოდ უმთავრესად უმუშევრად დარჩენილი არიან სათანადო მოუმზადებელნი მასწავლებლები. შემდეგ მომხსენებელი შეეხო კულტმუშაობას და აღნიშნა, რომ გამგეობის ერთერთ მთავარ საქმიანობას წარმოადგენდა კულტ-მუშაობის საკითხის მოგვარება და ასეთის გამოცოცხლება. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქში კულტ-მუშაობას აწარმოებდა განკ. მუშ. სახლის გამგეობა და სოფლად კი ადგილკომთან არსებული კულტ-კომისიაო. განათლების მუშაკთა სახლში, სისტემატიურად იკითხება მოხსენებები. ამის გარდა არსებობს

მოჰადრაკეთა წრე არის სხვადასხვა სათამაშოები და გასართობები, განათლების მუშაკთა სახლში არის დასასვენებელი ბინა სოფლიდან ჩამოსული წევრთათვის 9 ლოგინით. საანგარიშო პერიოდში ამ სახლში ბინით უსარგებლია 1460 კაცს. შემდეგ მომხსენებელი შეეხო წიგნთ-საცავს და აღნიშნა, რომ წიგნთ-საცავში არის დაახლოვებით 5 ათასამდე წიგნი, რითაც სარგებლობს მთელი მაზრის მასწავლებლობაო.

ასეთია მოკლედ სამაზრო გამგეობის მუშაობა.

საარეზიო კომისიის სახელით მოხსენება გააკეთა ივ. ოსიძემ, რის შემდეგ გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობა მიიღეს თითქმის ყველა დელეგატებმა. მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ გამგეობის მუშაობა მოწონებული და მიღებული იქნა სრულიად დამაკმაყოფილებლად. კონფერენციამ დაადგინა, რომ გავრცელებული იქნეს მაზრაში „განათლების მუშაკი“ და „ახალი სკოლისკენ“ დაევალოს თითეულ მასწავლებელს, რომ ასეთი აუცილებლად გამოიწეროონ. აგრეთვე რეზოლუციაში აღნიშნული იქნა, რომ ყველა ადგილკომებთან დაარსებული იქნას შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიები და ასეთების ხელმძღვანელობა დაევალოს სამაზრო გამგეობას. საარეზიო კომისიამ, რომელმაც კონფერენციას გააცნო სამგამგეობის ფინანსიური მდგომარეობა ცნობილი იქნა დამაკმაყოფილებლად.

განათლების განყოფილების მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამავე განყოფილების გამგე პ. ფიჩხაიამ. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა მაზრაში ყოფილა 111 4-წლედი, 39 7-წლედი, 3 9-წლედი და 2 პედ. ტეხნიკუმი. სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი შარშანდელთან შედარებით 3 პროც. გაზრდილა. მასწავლებლები ცდილობენ, რომ სკოლაში შეიტანონ ახალი მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთაც არ უნდათ არც სწავლა, არც ახალი სკოლა და არც არაფერი. მათ აინტერესებთ მარტო თვიური ჯამაგირი. შემდეგ მომხსენებელი შეეხო მასწავ. მომზადების საკითხს და აღნიშნა, რომ ვინც ჯერ ეცდება და ვისაც არ აინტერესებს ახალი სკოლა, მას ადგილი არ ეჭნება ჩვენს სკოლებშიო. მრავალი შეკითხვების და კამათის შემდეგ მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი.

4. უმუშევრობის შესახებ ამხ. ტრ. ხუნდაძემ წაიკითხა ც. გ. დადგენილება, რაც მიღებული იქნა უცვლელად.

5. არჩევნები. გამგეობაში არჩეული იქნენ პ. უგულავა, ნ. გაბარია, ვ. კიტია, არ. ჯიჯიხია, მ. ვეკუა, თ. შავგულიძე, ლ. კალანდია, ნ. ნადარეიშვილი და სხვ., სულ 11 კაცი. საარევიზიო კომისიაში; ნ. ბუკია, ლ. გუგუშვილი და ის. კვარაცხელია.

საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირის კონფერენციაზე არჩეული იქნა პ. უგულავა და ნ. ბებურია. კონფერენცია დაიწყება 27 დეკემბერს ღამის 11 საათზე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ყველა დელეგატები ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას ყოველი საკითხის გარჩევაში.

მასწ. აკ. ნაჭყებია

ადგილკომების მუშაობა

ერწო. კულტკომისიის მუშაობა.

ერწოს განათლების მუშაკთა კავშირის ადგილკომი აერთიანებდა 66 კავშირის წევრს და 5 დაწესებულებას, მასთან არსებობდა კულტურული და საკონფლიქტო კომისია.

ადგილკომი დაყოფილი იყო 4 სექციად, როგორიც არის: 1) მეთოდიურ-პედაგოგიური, 2) ლიტერატურული, 3) პროფ-მოძრაობის შემსწავლელი და 4) დრამატიული; ყველა მათ ყავს მიჩენილი ხელმძღვანელნი, რომელნიც თავის საქმიანობის ანგარიშებს ადგილკომთან არსებულ კულტ-კომისიას აბარებენ უკანასკნელი კი ადგილკომს. დასახელებულ სექციებში მუშაობა ივნისის, ივლისის და აგვისტოს თვეებში მინელებული იყო, რადგან კავშირის წევრების 70 პროცენტი სხვადასხვა კუთხიდან მოსულნი იყვნენ და არდადეგების გამო წავიდ წამოვიდენ. ხსენებულ პირობებში-არსებულ ყველა სექციების მუშაობა შეუძლებელი იყო. ამისათვის ჩვენ, გლეხთა ახალგაზრდობის სკოლის მასწავლებლობამ, ადგილობრივ მასწავლებლებთან ერთად მთავარი ადგილი დაუთმეთ საკლუბო მუშაობას, რომლის დროს ჩვენი მიზანი იყო მშრომელი გლეხობის

კულტურული განვითარება. ვაწარმოებდით მოხსენებებს შერჩეულ თემებზე, იყო გასამართლებები და წარმოდგენები, იძულებული ვიყავით ენა გაგვეხალხოსნურებია, რომ მით ხალხთან ახლოს მივსულიყავით, მაგრამ ყველა ამისათვის ერწოში პოხიერი ნიადაგი არ აღმოჩნდა.

არსებობისათვის ბრძოლაში დღიურ ჰირვარამით დაღლილ ერწოელ ხალხისათვის მხოლოდ წარმოდგენები-კომედიები აღმოჩნდა შესაფერი დროის გატარების მიზნით;—ამისათვის მთავარი ყურადღება მივაქციეთ წარმოდგენებს, რომელიც ხსენებულ დროის განმავლობაში 5-ჯერ იქნა გამართული.

განსაკუთრებულ პირობების გამო მიფერფლილი კულტ-კომისიის მუშაობის გამოცოცხლება დაიწყო 1-ლ ოქტომბრიდან, როდესაც ყოველი კავშირის წევრები თავის ადგილზე იყო, 3 ოქტომბერს მოწვეული იყო კავშირის წევრთა გაერთიანებული კრება, სადაც კულტ-კოსიამ გააცნო მომავალი მუშაობის გეგმა, რომლის დროსაც მხედველობაში იყო მიღებული კოლექტივის მოთხოვნილებანი. არსებული სექციები ოქტომბრის თვიდან ასრულებდა ყოველ-გვარ მოვალეობას, სამუშაო გეგმაში შეტანილი თემები-მოხსენებები თუ გასამართლებანი დანაწილებულ იქნა კავშირის წევრებზე, რომელნიც კოლექტიურად თუ ინდივიდუალურად ამუშავებდენ.

სექციური მუშაობა ატარებდა მოძრავ სახეს, რადგან ერწოს რადიუსი 15 ვერსზეა გაჭიმული. სოფლებს ურთიერთისაგან აშორებს 1—2 ვერსი. ამიტომ ერთი ცენტრის მაგივრად აღებული იყო 4 სოფელი. კულტ-კომისიამ თავის მუშაობის და სასკოლო მაცადინეობის დაწყების პირველ დღიდანვე მთავარი ყურადღება მიაქცია მეთოდიურ წრეს, რადგან შრომის სკოლა თავის ახალ პრინციპებით ძიების პროცესშია.—საბოლოოთ ჩამოყალიბებული პროგრამები არ არსებობს. ამისათვის ყოველდღიური სინამდვილე მოითხოვს აზრის გარკვევა-გაშუქებისათვის პრაქტიკულ მომუშავეს, რისთვისაც საჭირო იყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რის შემდეგ მიღებული პროგრამული სახის მოხსენებები მასწავლებლების მიერ ტარდებოდა ადგილებზე. დამუშავებული იქნა ხსენებულ მიზნით მრავალი თემები. საილუსტრაციოთ მოვიყვანთ ზოგიერთს, რომელიც წაკითხული იქმნა; 1) შრომის სკოლა და მისი მიზანი, 2) არითმეტიკის სწავლება 4-წლიან შრომის სკოლაში, 3) თვითმართველობა, 4) ანალიტიურ-სინთეტიურ მეთოდი ანგარიშის გამოყვანისა და სხვა. ასეთივე საქმიანი ხელი სჩანს პროფშრომრაობის შემსწავლელ წრეში, სადაც წაკითხული იქმნა 2 მოხსენება: 1) პროფ-მოძრაობის წარმოშობა და განვითარების სახეები ზოგადად, 2) პროფ-მოძრაობა აღმოსაველეთ ქვეყნებში.

დრამატიულ წრეში, სადაც მხოლოდ კავშირის წევრები იღებდენ მონაწილეობას ოქტომბრის რიცხვებიდან 3 ჯერ იქმნა დადგმული წარმოდგენა, ხსენებულ დროის განმავლობაში იყო საუბარი ლიტერატურულ თემებზეც.

კულტ-კომისია მუდამ იმის ცდაშია, რომ პრაქტიკულ საქმიანობაში წამოჭრილ კითხვებისათვის პასუხი გაეცა; მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის გამოყენებულ იქნა თანახმად ცენტრალურ გამგეობის და განყოფილების შეთანხმებისა 2 კვირაში ერთი სამაცადინო დღე. მან არსებობის პირველ დღიდანვე პედწრეს, რომელშიაც ერთდებოდენ ახლო არსებული სკოლების მასწავლებლები, გამოუწერა „კომუნისტი“ 60 ც. აქვთ გამოწერილი „განათლების მუშაკი“ და „ახალ სკოლისაკენ“.

ასეთია კულტურული მუშაობა ერწოს კულტ-კომისიისა და ვიმედოვნებთ, რომ მომავალი მუშაობა მეტს შედეგს მოგვცემს. კულტ-კომისიის თავმჯდომარე:

ნიკოლოზ დონაძე

საჭამია-ხერი (გურია). ა. წ. ნოემბრის 20-ს შესდგა საჭამია-ხერის რაიონის განათლების მუშაკთა კონფერენცია, რომელსაც დაესწრო ოზურგეთის სამაზრო პროფკავშირის თავრე ამხ. გერმანე ჯიბლაძე. დღის წესრიგში იყო მოხსენებანი: რაიადგილკომის, სარევიზიო კომისიისა, სამ. პროფკავშირის თ-რისა, არჩევნები და მიმდინარე კითხვები. რაიადგილკომის სახელით მოხსენება გააკეთა თ-რე რაფ. ყენიამ, სარევიზიო კომისიის სახელით—შალ. ბროკიშვილმა. მომხსენებლებმა ფართოდ გააცნეს კრებას ადგილკომის მუშაობა ერთი წლის განმავლობაში... შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ამხ. გერმ. ჯიბლაძემ, რომელმაც ერცლად გააშუქა პროფკავშირების მოვალეობანი მუშა-მოსამსახურეთა საკეთილდღეოდ; მან გააკრიტიკა მომხსენებელთა საქმიანობა და მიუთითა ადგილკომის მუშაობაში ბევრ დეფექტებზე. გაიმართა კამათი, აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, კრებამ ადგილკომის მუშაობა აღიარა არა და-

მაკმაყოფილებლად და მისცა სათანადო მითითებანი მომავალი მუშაობისათვის. შემდეგ იყო მოხსენება მასწავლებელთა საურთიერთო დამხმარე კასის გამგეობის თავ-რის ამხ. ე. მამალაძისა და კასის სარევიზიო კომისიის თ-რის ამხ. აქვს. კორიფაძისა. დამხმარე კასის გარშემო მუშაობა კრებამ მოიწონა და აღიარა დამაკმაყოფილებლად. დასასრულ, რაიონის კულტ-კომისიის სახელით მოხსენებით გამოვიდა კ. თავრე ამხ. დიმ. დუდუჩავა, რომელმაც ვრცლად დაახასიათა კომისიის მიერ ჩატარებული მუშაობანი პროფესიონალურ-პოლიტიკურ-პედაგოგიურ დარგებში. კულტკომისიის მუშაობა ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად. შემდეგ მოხდა არჩევნები: რ. ადგილკომში აირჩიეს ამხ. ამხ. დიმ. დუდუჩავა, შალ. უნგიაძე, შალ. ბროკიშვილი, დარია მგელაძე, ოლღა გურიციძე. სარევიზიო კომ-ში—ამხ. ამხ. აქვს. კორიფაძე, აკაკი სხვიტარიძე, იონა ნიკოლაიშვილი. კულტკომისიაში—ვალ. შანიძე, ალ. შარაშიძე, გრიგოლ ქავქარაძე. დამხმარე კასის გამგეობა—ისევ ძველი დარჩა. ბოლოს აირჩიეს შრომის დაცვის და საკონფლიქტო კომისია. არჩევნების შემდეგ იყო კამათი წამოჭრილ კითხვებზე და საერთოთ მასწავლებელთა მუშაობის გარშემო სკოლაში და საზოგადოებაში... კრების დახურვის შემდეგ შესდგა ახალი ადგილკომის პირველი საორგანიზაციო კრება, სადაც განაწილდა ფუნქციები: ადგილკომის თ-რედ აირჩიეს ამხ. დ. დუდუჩავა. მდივნად—შ. უნგიაძე. ახალ ადგილკომს დაევალა ანგარიშების გადმობარება სარევიზიო კომისიის კონტროლის ქვეშ. უსურვებთ ახალ არჩეულ ორგანოებს ენერგიულ საქმიანობას...

მასწ. აქვს. კორიფაძე.

ლეღ-მარელისი და მოლითი (შორ. მაზრა)

(სამდღიანი პედაგოგიური მეთოდიური კონფერენცია)

დღეს ჩვენი მასიური მასწავლებლობის 99% აწარმოებს კომპლექსიურ სისტემით მუშაობას, რაც ნათელყო ლეღ-მარელისის და მოლითის თემების სამდღიანმა კონფერენციამ, რომელიც მოწვეული იყო დ. მოლითში ა/წ. 2 ნოემბერს—და რომელსაც დაესწრო მასწავლებელთა დიდი უმრავლესობა. კონფერენცია გახსნა მოლითის თემის განგ. მუშ. ად. თა-რემ ამხ. შ. მაღრაძემ, რის შემდეგ კონფერენციამ აირჩია პრეზიდიუმი და სამდივნო და დაამტკიცა დღის წესრიგი. პირველ რიგში მოხდა სკოლების ნამუშევრის გამოფენა, რომელზედაც წარმოდგენილი იყო: დღიურები, რვეულები, ნახატები, კედლის გაზეთები, დიაგრამები, ოქმი, პლაკატები, რუქები, კრებნარები და ნაძერწები.

რის გაცნობამ და შესწავლამ ერთი რამ ცხად ყო: ჩვენი სოფლების სკოლების მუშაობა საგრძნობლად გაცხოველდა; კომპლექსიური სისტემით მუშაობაზე თითქმის ყველა სკოლები გადასულია. საზოგადოებრივ სასარგებლო შრომა, მისი საზოგადოებრივ ცხოვრებაში გატარება—ჩვენი სკოლების დღიურ წესრიგად იქცა.—და ყველაფერი ეს კი ჩვენი სოფლის მასწავლებლობის ამოქმედების უტყუარი საბუთია, რაც მიეწერება ერთი მხრით მასწავლებლობის აქტივობას—და მეორე მხრით კი, შორ-. მაზრის ინსტრ. ალ. ნიჭაბაძის დაუღალავ შრომას, რომელსაც ნათლად აქვს წარმოდგენილი თავის დანიშნულება სასკოლო მშენებლობის სფეროში და ამიტომ სათანადო ხელმძღვანელობას უწევს მას. კონფერენციაზე გაირჩა როგორც მეთოდიური, ისე საზოგადოებრივ გამანათლებელი საკითხები, რომლებიც ნათლად გააშუქა და მრავალი ფაქტებით დაასაბუთა ინსტ. ალ. ნიჭაბაძემ.

მასწავლებლობამ დიდი აქტივობა გამოიჩინა სწავლების მეთოდების პრაქტიკულ გადაჭრაში, რაც მოწმობს იმას, რომ ჩვენმა მასწავლებლობამ უარყო ძველი სქოლასტიური სწავლების გზა და მხურვალე მონაწილეობას იღებს ახალ საბჭოთა შრომის სკოლის შესაქმნელად.

ამის შემდეგ კონფერენცია დაიყო სექციებად, იმის და მიხედვით თუ ვინ რომელ ჯგუფს ამაცადანებდა. სექციებს დაევალით თემების გაშლა და წლიური სამუშევრის სქემატიური აგეგმვა. სექციებმა ეს საქმე პირნათლად შეასრულა. რამაც ნათელ ყო, რომ ჩვენი მასწავლებლობა აღარ განიძახის „ვაი შენ და კომპლექსიო“ არამედ ახორციელებს მას სკოლების სინამდვილეში.

დასასრულს ინსტრუქტორმა მოუწოდა მასწავლებლობას, რომ ყოველი მასწავლებელი უნდა დაუკავშირდეს, ქოხ-სამკითხველოს, თემ. საბჭოს, აგრანომიულ პუნქტს და სხვა თემის კულტ-ორგანიზაციებს.

კონფერენცია დაიხურა 5 ნოემბერს და საქმით დატვირთული მასწავლებლობა დაბრუნდა თავ-თავიან სკოლებში.

ამბ. ვეფხვაძე.

Ი. ᲒᲐᲕᲠᲘᲚᲝᲕᲘ.
სახ. პოლ. ინსტიტუტის დეკანატის პრეზიდიუმის წევრი.

3. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮ. ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲮᲜᲘᲙ. ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ 10 ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ

ტფილისის პოლიტეხნიკური ინსტიტუტის განვითარების ისტორია იყოფა ორ ნაწილად: 1) წინა ისტორია, როდესაც სწარმოებდა ბრძოლა უმაღლეს სკოლის დაარსებისათვის ა./კავკასიაში და 2) თვით ისტორია, როდესაც დაიწყო ბრძოლა, ოქტომბერთან დაკავშირებით წარმოშობილ, უმაღლეს სკოლის—ტფილ. პოლიტ. ინსტ.—განმტკიცებისათვის. ინსტიტუტის ისტორიის 1-ლი ნაწილი გვიხატავს სრულ სურათს იმისას, თუ რა სიძნელით იკაფავდა გზას, უმაღლეს სკოლის ა./კავკასიაში დაარსების აზრი თვითმპყრობელობის პირობებში; რამდენ ხელოვნურ დაბრკოლებებს ქმნიდა მეფის რეჟიმი, რომ შეეჩერებია ა/კავკასიის კულტურის კერის—უმაღლეს სკოლის ჩასახვა.

მთავრობისათვის ხელსაყრელი იყო რომ ე. წ. „ოკრაინის“ ეროვნებები მას ჰყოლოდა მომწყვდეული უვიცობის, მორჩილების და მონობის ბრჭყალებში. მწარე გაკვეთილის მქონე მეფის ძთავრობა თავს იკავებდა აქ უმაღლეს სკოლის დაარსებიდან, პოლიტიკურ მოსაზრებითაც, რადგან ყოველი ახალი უმაღლესი სკოლა—მით უმეტეს ჩაგრულ ეროვნებათა შორის—გახდებოდა რევოლუციის ახალ კერად და რევოლუციონურ ბაცილების გამავრცელებლად. ამის გამო იყო რომ, გასულ საუკუნის 70 წლებში წამოჭრილ აზრს ა/კავკასიაში უმაღლეს სკოლის დაარსების შესახებ წილად ხვდა სხვადასხვა დაწესებულებებში ხეტიალი და არავითარი ნაყოფი არ გამოიღო.

ომის დაწყებასთან ერთად მთლად მივიწყებულ იქნა უმაღლეს სკოლის დაარსების საქმე და მხოლოდ თებერვლის რევოლუციის შემდეგ განახლდა ძველი აზრი.

1917 წ. 26 მაისს დროებითმა მთავრობამ დაამტკიცა პროექტი პოლიტეხნიკურ ინსტიტუტისა ოთხი ფაკულტეტით: სას.-სამეურნეოთი, ქიმიურით, ჰიდრომექანიკურით და ეკონომიურით, მაგრამ ეს პროექტი პროექტად დარჩა.

ამით შეიძლები დამთავრდეს ტფილისის სახ. პოლიტეხ. ინსტიტ. წინა ისტორია.

ნამდვილი ისტორია ა/კავკასიის უმაღლეს სკოლისა იწყება 1917 წლის 9 ოქტომბრიდან, როდესაც გაიხსნა ტფილისის სახ. პოლიტ. ინსტ. და კერძოდ მისი სასოფლო-სამეურნეო განყოფილება.

შემდეგი წლის შემოდგომაზე გაიხსნა ეკონომიური ფაკულტეტი, რომელიც 1922 წ. გადაკეთდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტად და 1924 წ. დაიხურა.

1919 წ. შემოდგომაზე გაიხსნა ჰიდრო-მექანიკური ფაკულტეტი, რომელიც 2 წლის შემდეგ გადაკეთდა საინჟენერო-მექანიკურად; 1920 წელს გახსნილ საინჟენერო-სააღმშენებლო ფაკულტეტთან ერთად ის ეხლა შედის ინსტიტუტის შემადგენლობაში.

ამჟამად ინსტიტუტი შესდგება: სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტისაგან, რომელსაც აქვს განყოფილება სასოფლო-სამეურნეო და სატყეო; საინჟენერო ფაკულტეტები: ჰიდრო-ელექტრო-მექანიკური, თავის განყოფილებით: მექანიკურით, ჰიდრო-მექანიკურით და ელექტრო-მექანიკურით.

საინჟენერო-სააღმშენებლო, თავის განყოფილებებით: საგზაო-სახიდე, ჰიდრო-ტეხნიკურით და სატრანსპორტო საექსპლოატაციოთი.

როგორ პირობებში მიმდინარეობდა ინსტიტუტის ცხოვრების და მუშაობის 10 წელი და რა შედეგებს მივაღწიეთ ჩვენ?

წარმოშობის დღიდან ინსტიტუტს მოუხდა ორი რეჟიმის პირობებში არსებობა.

პირველი—მენშევიკური რეჟიმი მეტად მძიმე იყო და მეორე—საბჭოთა წყობილება განსაკუთრებით ხელსაყრელი იყო მის არსებობისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ინსტიტუტს შეექმნა ფართე შესაძლებლობა შემდეგი ზრდისა და გამაგრებისათვის.

მენშევიკების დროს ინსტიტუტს არ გააჩნდა საკუთარი სახელმძღვანელოები, საჭირო ხელსაწყო და ლაბორატორიები; ამ მხრივ ის წააგავდა მოხეტიალე ტოძს და საჭიროების დროს სარგებლობდა ა/კავკასიის კერძო უნივ-ტის და სხვა სასწავლო დაწესებულებებით. ხშირად ეს დახმარება არა სასიამოვნო ხასიათს იღებდა. ეროვნულმა შუღლმა და მენშევიკურ მთავრობის უყურადღებობამ ინსტიტუტის მოთხოვნილებებისადმი გაძნელა პროფესორების უკმაყოფილება. ისინი სტოვებდენ საქართველოს „მენშევიკურ სამოთხეს“ და მიემგზავრებოდენ რ.ს.ფ.ს.რ. სხვადასხვა ნაწილებში, რომ იქ, უფრო საღ პირობებში ეწარმოებიათ სამეცნიერო მუშაობა. ეს ის ხანა იყო, როდესაც მეცნიერების საუკეთესო ძალები გარბოდენ საქართველოდან და 16 ორდინარულ პროფესორებისა და რამოდენიმე აკადემიკოსებისაგან დარჩენ მხოლოდ ერთეულები.

საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ ა/კ. ხალხთა ცხოვრება სულ ახალის გზით განვითარდა: ეროვნული მტრობა შესცვალა ეროვნულმა სოლიდარობამ და ქართულ კულტურის ზრდასთან ერთად, იზრდება ეროვნულ უმცირესობათა კულტურაც; ამ ნიადაგზე ხდება საქართველოს ხალხთა ძმური დაახლოება და მათი კოლექტიური ღონისძიებათა წყალობით სწარმოებს სახალხო მეურნეობის აღდგენა-წინსვლა.

სამოქალაქო ომის პირობებში არ შეიძლებოდა უმაღლ. სასწ. ყოველმხრივი დაკმაყოფილება, მაგრამ საკმარისი იყო მშრომელთა მტრების დამარცხება და

ომისაგან შესვენება, რომ საბჭოთა საზოგადოებრივობის მთელი ენერგია და ქვეყნის რესურსები გადასროლილ ყოფილიყო სამეურნეო და კულტურულ ფრონტებზე.

რა კონკრეტიული მიღწევები აქვს ინსტიტუტს 10 წლის თავზე?

მატერიალურ ბაზის განმტკიცების მხრივ მივაღწიეთ შემდეგს:

ინსტიტუტი დაბინავდა ფრიად კარგ შენობაში, ყოფილ სომხურ სემინარიაში, რომელსაც თან ახლავს მიწის ნაკერი, რომელზედაც შეიძლება აღმოცენდეს სამეცნიერო საჩვენებელი დაწესებულებანი: სახელოსნოები, ფერმები, ბაღები და სხვ. საინჟენერო და სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტებს აქვთ 25-მდე ლაბორატორიები და კაბინეტები. ამას გარდა ინსტიტუტთან არსებობს სამეცნიერო მეურნეობანი:

1) საგურამოს, რომლის მოედანი უდრის 40 დესეტინას. აქ აგებულია ახალი შენობები, გაშენებულია ხეხილის ბაღი, ვენახის სანერგე და სხვ.

2) ორთაჭალის საბაღჩე-საბაღე მეურნეობა, სადაც სტუდენტობა აწარმოებს პრაქტიკულ მეცადინეობას.

საინჟენერო ფაკულტეტის სასწავლო მეურნეობა მოწყობილია შედარებით სუსტად, რადგან მისი ორგანიზაცია უფრო რთულია და დიდ ხარჯებს ითხოვს.

10 წლის იუბილესთან დაკავშირებით მთავრობამ ინსტიტუტს შესწირა 28 ათასი მანეთი, რაც ხელს შეუწყობს მუშაობის გაღრმავებას.

ხელფასის საკითხიაც წავრსდგით წინ დიდი ნაბიჯი. იმ უმნიშვნელო ხელფასის მაგიერ, რომელიც ბონების სახით ეძლეოდა პროფესორებს და მასწავლებელთ, ჩვენ გადავიდით მტკიცე განაკვეთზე და ტარიფზე, თუმც ეს სრულიად არაა საკმარისი, რომ მეცნიერების მუშაკებმა მთლიანად შესწირონ ენერგია უმაღლეს სკოლის მშენებლობას.

მნიშვნელოვანად გაუმჯობესებულია პროლეტარულ სტუდენტობის უზრუნველყოფის საქმე. სტიპენდიათა რიცხვი გაიზარდა 6,5 პროც.-დი, თუმც ის დიდი მანძილით არის დაცილებული რ.ს.ფ.ს.რ. სტიპენდიანთა პროც.-საგან.

ბევრი არის გაკეთებული სტუდენტობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. პროლეტარულ სტუდენტობისათვის საჭირო ადგილები ყოველწლიურად იზრდება კურორტებზე. გაუმჯობესებულია სტუდენტობის ბინებით უზრუნველყოფის საქმე.

წელს შეუდგებიან სტუდენტთა საერთო საცხოვრებელ შენობის აგებას, ინსტიტუტის მახლობლად.

ამასთან ერთად უნდა აღვნიშნოთ, რომ სტუდენტობის რიცხობრივი და თვისობრივი ზრდა ყოველწლიურად მატულობს.

ტფილისის პოლ. ინსტიტუტის რიცხობრივ ზრდის სურათი ასეთია: 1917/18 აკადემიურ წელს ორივე ფაკულტეტებზე იყო 229 სტუდ., 1997/28 წ.—2158 სტუდენტი.

სტუდენტების 60 პროც. შესდგება მოსამსახურეებისა და მოსამსახურეთა შვილებისაგან.

მუშები და მუშების შვილები შეადგენენ 13 პროც.-ს.
11 პროც.-ტი გლეხობა და 16 პროც. ხელოსნები და დანარჩენები.

ინსტიტუტის ნაციონალური შემადგენლობა შესაძლებლობას აძლევს ყველა როვნულ უმცირესობათ, დაიკმაყოფილონ თავიანთი კულტურული მოთხოვნილებანი.

ინსტიტუტის სასწავლო გეგმა იმ თავითვე ნორმალური სახის იყო. სწავლის კურსი გრძელდებოდა 4 წელს და შეგუებული იყო საქართველოს სახალხო მეურნეობის ზრდასთან და მის ისტორიულ და სოციალ-ეკონომიურ თავისებურებასთან.

სწავლების ძველი ლექციური მეთოდი შეცვლილია ჯგუფობრივით, რამაც უკვე გამოიღო დადებითი ნაყოფი.

ამასთან ერთად, მთელი სიგრძე-სიგანით წამოყენებულია საკითხი მეცნიერთა კადრისათვის საჭირო, ახალგაზრდა ძალების დაწინაურებისა და აღზრდის. ინსტიტუტის სუსტ მხარეს შეადგენს სამეცნიერო ძალთა სიმცირე; მწვავედ სდგას არსებულ სამეცნიერო ძალთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხი.

ინსტიტუტი, პროფესურის საშუალებით, მჭიდრო კავშირში იმყოფება სამეურნეო დაწესებულებათა პრაქტიკულ საქმიანობასთან (სახ. საგეგმო კომის. უ.ს.მ.ს. და სხვ.). ამ ორგანოების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა სწარმოებს ინსტიტუტის სათანადო ლაბორატორიებში და კაბინეტებში.

ინსტიტუტმა გამოუშვა 336 ინჟენერი და აგრონომი. ამათგან, ნაწილი საზღვარგარეთ ამუშავებს სამეცნიერო დაწესებულებათა მიერ დაკვეთილ სპეციალ ამოცანებს. სტუდენდების ერთი ნაწილი წარმატებით მუშაობს, როგორც პრაქტიკულ, ისე სამეცნიერო დარგში.

ინსტიტუტის არსებობაში სათუო უკვე აღარაფერია და პროფესურისა, სტუდენტობის და მთავრობის გაერთიანებული ძალებით, უეჭველია, ყოველ ჯგარ წვრილმან დაბრკოლებებს გადავლახავთ, რომ მეორე ათი წლის თავს შევეგებოთ მეტი წარმატებით და მეტი მიღწევებით.

დ. ყიფშიძე

საზოგადოებათმეცნიერება სკოლაში

V. მხარეთმცოდნეობის პრინციპი საზოგადოებათმეცნიერებაში*).

საზოგადოებათმეცნიერების მთავარ პრობლემათა მიმოხილვა არ იქნებოდა სრული, თუ არ განვიხილავთ რა როლი უკავია მხარეთმცოდნეობას ამ საგნის იმ თავისებურ წყობაში, რომელიც უკვე იყო განხილული.

პედაგოგიური ლიტერატურა (რუსული, განსაკუთრებით) მდიდარია მხარეთმცოდნეობის საკითხის შესახებ. გავიხსენოთ, რომ ახალი სკოლის ჩამოყალიბების პროცესში პროგრამების სიახლის განმსაზღვრელი ეს ტერმინი—მხარეთმცოდნეობა—იყო. შეიძლება ითქვას, რომ აღებულ საკითხის ირგვლივ ლიტერატურის მრავლიანობა მასიურ მასწავლებლის მიერ სწორ შეხედულების შემუშავებას მხარეთმცოდნეობაზე ხელს უშლის და ბოლოს, ძნელი წარმოსადგენი ხდება—რა უნდა გავიგოთ ხსენებულ ცნების ქვეშ?

საჭიროა გავარჩიოთ მეცნიერული და სასკოლო მხარეთმცოდნეობა. რასაკვირველია, განსხვავება მათ შორის არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ერთსა და მეორეს შორის მნიშნელოვანი წყვეტია და თავის მიზნის განაღდების დროს ერთი მეორეს არ გამოადგება. მაგალითად, მეცნიერული მხარეთმცოდნეობა სასკოლოზე ადვილად შეიძლება დაეყრდნოს, უკანასკნელი პირველს ძალიან დიდ დახმარებას გაუწევს ხოლმე, მხოლოდ როდესაც მათ შორის განსხვავებას დაუშვებთ, მხედველობაში შემდეგი გვაქვს: მეცნიერულ მხარეთმცოდნეობის მიზანია რომელიმე, ვსთქვათ, მხარის დეტალური შესწავლა. მაშ: მხარის შესწავლა საბოლოო **მიზანია** მეცნიერული მხარეთმცოდნეობის. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში „შესწავლა შესწავლისთვის“ არ არის: ზოგჯერ ასეთი მუშაობა ეკონომიურ გეოგრაფიის კვლევის ფარგლებშიაც შედის. სასკოლო მხარეთმცოდნეობაში მხარის შესწავლა **საშუალებაა** მოწაფეთა ცოდნის გაერთიანებისა მტკიცე ნიადაგზე.

მხარეთმცოდნეობის შემოტანას სკოლაში შეიძლება მიეცეს ორნაირი დასაბუთება. ერთი-მეცნიერული—მეორე—პედაგოგიური. გავიხსენებთ რა ახალი სკოლის მიზნებს, ვასკვნით, რომ სკოლას, რომელიც მოწოდებულია მძლე იარაღათ ექნეს გაბატონებულ კლასს მომავალი ცხოვრების შესაქმნელად, არ შეუძლია თავისი მუშაობა ადგილობრივ მასალაზე არ ააგოს. ამით სკოლა უშუალოდ შედის იმ ცხოვრებაში, რომლისთვისაც მოწოდებულია. ა. ლუნაჩარსკისათვის ერთ-ერთ ამერიკელს უთქვამს: „....რაც შეეხება თქვენი ქვეყნის (ე. ი. რუსეთის დ. ყ.) რესურსებს, ამაზე ჩვენმა მეცნიერებმა უკეთ იციან, ვინემ—თქვენებმა“-ო. ხელსახებია ეს ნაკლი და მისი გაქოსწორება, უპირველეს ყოვლისა, სკოლის საქმეა.

*) იხ. „განათლების მუშაკი“ №№: 1, 2, 6.

რაც შეეხება პედაგოგიურ დასაბუთებას: 1) მხარეთმცოდნეობა უზრუნველ ყოფს თვალსაჩინოებას, რომელიც ეგზომ საჭიროა ამა თუ იმ საგნის დამუშავებისას (კომენსკის მოთხოვნილება). 2) იმ მეთოდთა შორის, რომელიც ახალ სკოლაშია მიღებული ე. წ. კვლევა-ძიების მეთოდს დიდი ადგილი უჭირავს და, ცხადია, ამ მეთოდის გაშინაარსება მხარეთმცოდნეობით როგორ ადვილი ხდება.

განვიხილოთ ეხლა, თუ მხარეთმცოდნეობას თვით სასკოლო პროგრამებზე ზოგადათ როგორი გავლენა აქვს. დეცენტრალიზმი, რომელიც ჩვენ პროგრამებს ახასიათებს, მხოლოდ მხარეთმცოდნეობის ფონზე ხდება შესაძლებელი. ზემდგომი ორგანოები (განათლების კომისარიატი ამ შემთხვევაში) სამუშაო პროგრამებს ხომ ვერ მიაწვდის ადგილებს? (კომისარიატიდან და სხვ.) უმეტეს შემთხვევებში მოდის სქემები, რომლებიც ახალი სკოლის პრინციპების ზღვარმდე ბელია; ეს სქემები ივსება ადგილობრივი მასალით.

ყველაფერი, რაცა ვსთქვით მხარეთმცოდნეობაზე—წარმოადგენს ზოგადს ამ საკითხზე. მთავარი, რასაც წერილის სათაურიც გვახსენებს, არის—რა ადგილი უნდა ეჭიროს საზოგადოებათმეცნიერებაში მხარეთმცოდნეობას?—სრულიად საკავშირო II კონფერენციას მხარეთმცოდნეობაზე გამოაქვს შემდეგი დადგენილებანი, რომლებიც—ერთის მხრივ განსაზღვრავენ მოკლედ სასკოლო მხარეთმცოდნეობის პრინციპებს და—მეორეს მხრივ—დასმულ საკითხზედაც პასუხს იძლევიან.

1. გარემოება, რომელშიდაც ხორციელდება ჩვენი სოციალისტური მშენებლობა, ითხოვს რეალურ პირობათა ცოდნას, რომელიც საჭიროა სოფლად და ქალაქად ჩვენი მეურნეობის განვითარებისთვის; წარმოების ფორმების, ხერხების და საერთო პირობათა შესწავლა არის არსებითი ამოცანა მომენტის; ყოველდღიურ სამეურნეო სინამდვილის შესწავლა, მისი რეალურ გაუმჯობესების ხერხების გამოძებნის მიზნით, მედგრად ითხოვს ცალკე სამეურნეო ერთეულების—სოფლის მეურნეობა, სასოფლო-სამეურნეო არტელები, სახალხო მამულები, შინამრეწველობის კოოპერატივი, ფაბრიკა, ქარხანა და სხვ.—აუცილებელ შესწავლას.

2. აღნიშნულ საკითხების შესწავლას აქვს ორი მთავარი მხარე: ბუნებრივ მეცნიერული და საზოგადოებრივი, რომელთა შემაერთებელი რგოლი არის წარმოების პროცესი. ამიტომ თანამედროვე მხარეთმცოდნეობის ყურადღ ბის ცენტრში სდგას ადამიანის და მისი შრომითი საქმიანობის შესწავლა ორი გზით: 1. ადამიანის ცხოვრების და შრომის ბუნებრივ პირობების შესწავლა; 2. ადამიანის შრომის და ცხოვრების საზოგადოებრივ პირობათა შესწავლა; ამგვარად: ბუნების თავის ბუნებრივ სიმდიდრით და საზოგადოების შესწავლა მათ შინაგან კავშირში წარმოადგენს განსაზღვრულ მთლიანობას.

3. შრომის სკოლა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული რაიონის საზოგადოებრივ და შრომითი ცხოვრებასთან, დაინტერესებული უნდა იყოს ადგილობრივ მხარის საწარმოო ძალთა შესწავლით, მით უფრო, რომ სკოლის სასწავლო მუშაობაში ადგილობრივი მასალის შეტანა სწევს მოწაფეთა ინტერესს

და აქტივობას დ ხელს უწყობს სკოლაში თვითმოქმედების და კვლევითი მუშაობის საფუძველზე შრომითი პრინციპების განხორციელებას.

ი. მ. კატაევი, რომელიც რუს მეთოდისტებში შედარებით უფრო გავლენიანია, ჩვენთვის ცნობილ წიგნში ამ დადგენილების შესახებ ამბობს: „აქ უნდა იყოს აღნიშნული სოციალ-პოლიტიკური მომენტი, რომელიც მხარეთმცოდნეობის მასალაში უნდა იყოს შეტანილი... ჩვენ სოფლის, თუ ქალაქის მარტო წარმოებაზე კი არ უნდა ვილაპარაკოთ, არამედ ნათლად უნდა წარმოვიდგინოთ ჩვენი მხარის სოციალურ მიმართების სურათები. სამეც. საბჭოს პროგრამებშიაც ასეა გაგებული მხარეთმცოდნეობა: არა სიძველეთა ძეგლები, არა შენობათა არქიტექტურული სტილი, არა ფოლკლორი უნდა შეადგენდეს სასკოლო მხარეთმცოდნეობის ღერძს, არამედ ადამიანთა შრომითი მოქმედება და ორგანიზაცია...“ *).

მხარეთმცოდნეობა ახალი სკოლის—საერთოდ--და საზოგადოებათმეცნიერების კერძოდ—პროგრამებში ყველა საფეხურის სკოლებში ერთნაირ როლს, რასაკვირველია, არ თამაშობს, მაგრამ ამაზეც მაშინ, როცა პროგრამების განხილვას დავიწყებთ.

დავით ახათიანი.

ნიჭიერების (ინტელიგენტობის) გამოკვლევის საკითხი ბავშთა ფსიქოლოგიაში.

როგორც წინა წერილშიდაც [1]) აღვნიშნე, ნიჭიერების ქვეშ ზოგად უნარს გულისხმობენ, რომელიც შეძლებას აძლევს ინდივიდს მის წინ მდგომ ახალი ამოცანებისადმი მოიმართოს და შეეგუოს [2]) თუ ამას მივიღებთ, მაშინ მყისვე ეკარგება ნიჭიერებას ის შინაარსი, რომელიც მას ყოველ დღიურ ხმარებაში, ერთის შეხედვით აქვს; ამის შესახებაც უკვე ვილაპარაკე; ნიჭიერი ყველაა, მაშინ რაღად ვამბობთ ნიჭიერსა და უნიჭოზე. მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ინდივიდთა შორის ამ მხრივ ხარისხეული განსხვავება არსებობს. ამიტომ ეპიტეტი ნიჭიერი, სრულიად ახალი განძის მიკუთვნებას კი არ მოასწავებს და აღნიშნავს, არამედ

*) Вопросы преподавания обществоведения (Методические очерки)“, „Работник прос.“, Москва, 1926. გვ. 115.

[1]) იხ. „განათლების მუშაკი“ № 8.

[2]) უნდა გვახსოვდეს, რა თქმა უნდა, რომ ცნება „შეგუება“ ამ შემთხვევაში in nuce განსხვავდება შინაარსის მიხედვით იმ „შეგუები“-დან, რომელსაც დარვინიზმთან დაკავშირებით იცნობენ და იმ შინაარსიდანაც ამ შემთხვევაში, რომელიც მას ბიხევიორისტების კონცეპციაში აქვს მინიჭებული. „ამ წიგნში ტერმინები: „შეგუება“, „პასუხი“ და „რეაქცია“ იხმარება განსაკუთრებულ განსხვავებათა გარეშე“—ამბობს უოტსონი, იხ. Уотсон. Психология, как наука о поведении, გვ. 11. მაგრამ ეს წიგნი ხომ დასახელებულ ფსიქოლოგიურ მიმართულების ძირითად რაობას გვაცნობს.

უკვე ზოგადი უნარის უფრო მაღალ ხარისხს, უფრო მაღალ საფეხურს. ასე რომ, აქ ხარისხულ გრადაციასთან გვაქვს საქმე. მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ ინდივიდთა შორის ამ მხრივ მეორე გვარის განჯგუფებაც არსებობს, რომელიც შემდეგ გარემოებაზეა დამოკიდებული: არსებობენ უაღრესად დიდი სწავლულნი და მკვლევარნი, ეპოქის შემქმნელ ფილოსოფიური სისტემის ავტორნი, რომელნიც პრაქტიკულ ცხოვრებაში წამოჭრილ უბრალო ამოცანის გადაჭრაში ბავშურ უბადრუკობას იჩენენ; არსებობენ, მეორეს მხრივ, ისეთნი, რომლებიც პრაქტიკულ ამოცანებს საგანგებოდ სჭრიან და ერთი სიტყვით „ცხოვრებას აწყობენ". წმინდა თეორეტიული ამოცანები კი მათთვის საესებით მიუწვდომელია და ამ მიმართულებით მათი მუშაობა უშედეგო და ფუჭია. ამაზე გარკვევით მიგვითითებს შტერნი [3]) აქედან შეგვიძლია ნიჭიერების არა მარტო ხარისხულ თავისებურებაზე ვილაპარაკოთ, არამედ მასში ტიპიურად საკლასიფიკაციო ნიშანიც მოვნახოთ. ასეთად შემდეგი უნდა იქნეს მიჩნეული: ნაყოფიერება საქმიანობისა ობიექტიურ სამყაროში, გარედ, რაც ყველას შეუძლია აღითქვას და, ნაყოფიერება განყენებულ აზროვნებასა და საერთოდ ინტელექტუალური ფუნქციების სფეროში, რამდენადაც იგი უმალ ჩვენთვის „უხილავია", თუმცა არა პირდაპირ პრაქტიკულ ცხოვრებაზე ობიექტიურად გავლენას მაინც ახდენს. ამდენადვე შეგვიძლია ვსთქვათ; არსებობს პრაქტიკული ნიჭი და თეორეტიული ნიჭი. მათ შორის მიჯნა ადვილი მოსანახავია. სამაგიეროდ თვითეული ტიპის ფარგლებში იერარქიული საფეხურების გამონახვა შედარებით სიძნელეს წარმოადგენს. სიძნელე ობიექტიური, ღნური კრიტერიუმის გამონახვაშია, ან უკეთესი იქნება, ალბად, თუ ვიტყვით, ისეთი ხერხისა, რომელიც ნიჭიერების საფეხურისა და ხარისხის ფიქსაციას შეგვაძლებინებს. რამდენადაც საქმე პრაქტიკულ ნიჭიერებას ეხება, უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით მუშაობას მოკლე ისტორია აქვს ძლიერ და ამიტომ არც არის გასაკვირველი, როცა ერთი მკვლევარი ამბობს: „ჯგუფობრივი ტესტი პრაქტიკულ ნიჭიერების გამოსარკვევად **ჯერ-ჯერობით, რამდენადაც ვიცი**, არ უნდა იყოს [4]) სამაგიეროდ ინტელექტუალური ნიჭიერების გამორკვევის შესახებ უკვე საკმაო ცდებია ნაწარმოები. ამიტომ უკეთესი იქნება პირველის შესახებ ცოტა ქვევით ვიქონიოთ მსჯელობა და ჯერ მეორე საკითხის გარკვევას შეუდგეთ. მინდა კიდევ დავბრუნდე უკან დროებით და გავიხსენო, რომ ეს კლასიფიკაცია ინტელიგენტობისა, რომელიც მოვახდინე ამ შემთხვევაში, როდია ერთად ერთი; არა, მის ფარგლებში ბევრ სხვაგვარ დანაწილებასაც ახდენენ, რაც თავისთავად ძლიერ საინტერესოა, მაგრამ ამ შემთხვევაში გვერდს აუხვევ, რომ ქვევით შეძლებისდაგვარად სათანადო ადგილს ისიც მოვიხსენიო. აქ კი ამ ორ ტიპიურ განჯგუფებაზე შევჩერდი მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ძლიერ ადვილი გასაგებია და მეორე, ჩვენს ყოველდღიურ ცხოვ-

---

[3]) Одаренность детей. გვ. 42 და 41 თავი III.

[4]) Zeitschr. tür Angevandte psychol. band 27, 1926. Hàns Làmmermann, Eichung einer Sepie von gruppentests für 8—14 jähr, Volksschüler, გვ. 3.

რებაშიდაც მაგგვარ კვალიფიკაციას ადამიანისას ხშირად გაიგონებ. მაინც რომ ნათლად წარმოვიდგინოთ—როგორი უნდა იყოს პრაქტიკული ინტელიგენტობა და მისი გამომჟღავნების შესაძლებლობა, ამიტომ ამის შესახებაც მოვიყვან მაგალითს: ზოგს დიასახლისს შეიძლება ძლიერ ბევრი ხელსაწყო და საჭირო პროდუქტი მოეპოებოდეს სადილის დასამზადებლათ, მაგრამ ძლიერ გაუჭირდეს ისეთი გემრიელი საჭმლის დამზადება, როგორსაც დაამზადებს მეორე მაშინ, როცა ამ უკანასკნელს ძლიერ ცოტა „საკმაზი“ გააჩნია და ამ მხრივ ძლიერ შეზღუდულია, მაგრამ იგი მაინც ახერხებს „სუროგატების ან ახალი კომბინაციის გზით მიაწოდოს თავის ოჯახს გემრიელი და სარგო საკვები“. ან, ვსთქვათ, საჭიროა ბოქლომის გაღება. ჩვენ გვაძლევენ 12 გასაღებს, რომლებიდანაც ორი მოერგება ბოქლომს 6—კი ამ ორსა ჰგავს, 4—მათგანი სულ არ გავს. უნდა მოვნახოთ ორი სათანადო გასაღები. ზოგი ამ შემთხვევაში მექანიკურად ჩამოყვება და ყველას გასინჯავს. ზოგი კი პირველ ყოვლისა გამოაცალკევებს აშკარად არა სათანადო გასაღებებს და შემდეგ გასინჯავს იმათ, რომლებიც უფრო მიუდგებიან. ცხადია, რომელი იქნება ამათგანში პრაქტიკული ინტელიგენტობით აღჭურვილი (მაგალითები ამოღებულია შტერნის ნაშრომიდან [5]). მაგრამ თუ ჩვენ წინ რომელიმე მოთხრობაა რომელშიდაც აქა-იქ სიტყვებია გამოტოვებული და ჩვენ მისი შევსება და მოთხრობის აღდგენა გვევალება, მაშინ ინტელექტუალური ინტელიგენტობის გამოაშკარავების შესაძლებლობასთანა გვაქვს საქმე. მივმართოთ რამდენიმე მაგალითს აქაც.

(შემდეგი იქნება)

დ. შარაშიძე.

ბავშის სიცილი

(მისი ფსიქოლოგიური, პედაგოგიური და ჰიგიენური მნიშვნელობა).

საღი სიცილი ხელს უწყობს მხნეობას და ნერვების სისტემის ნორმალურ მოქმედებას, შველის საჭმლის წესიერად მონელებას. საღი სიცილი ისეთივე ბუნებრივია, როგორც სმა-ჭამა.

ამერიკელი ექიმი, გემფრი, რომელიც ბავშთა თავშესაფარში იყო ექიმად, გაკვირვებული იყო შემდეგი გარემოებით:

თავშესაფარში ორი განყოფილება იყო; ორივე თავშესაფარი ერთ და იმავე პირობებში იყო, მაგრამ ერთ თავშესაფარში ბავშებს უფრო საღი, სიცოცხლით სავსე მხიარულება ეტყობოდა სახეზე, მეორეში კი უფრო სისუსტეს, უძლურებას და სიზანტეს იჩენდნენ ბავშები, თითქო სახეზე რაღაც მწუხარების ბეჭედი აზისთო. პირველ განყოფილებაში ბავშები იშვიათად ხდებოდენ ავად,

[5]) იხ. op. cit. გვ. 41 და შემდეგ გვ. 98.

მეორეში კი უფრო ხშირად. გემფრი დიდხანს ვერ მიხვდა ამ საოცარ განსხვავების მიზეზს, ვიდრე არ დაუკვირდა თავისაფრის ორთავე განყოფილებაში არსებულ აღზრდის სისტემას. ამ დაკვირვებით მან აღმოაჩინა, რომ პირველ განყოფილებაში, სადაც ბავშები მეტად სისაღესა და სიფხიზლეს იჩენდნენ, ასწავლიდა ბუნებით მხიარული, სიცოცხლით სავსე აღმზრდელი, რომელიც ამ თვისებებს გადასცემდა ბავშებსაც, იგონებდა ბავშებისათვის ყოველგვარ სამხიარულო გასართობებს და სხვა, მეორე განყოფილების აღმზრდელს კი, უფრო სერიოზულობა ეტყობოდა, სასტიკად ასრულებდა პროგრამას, უკრძალავდა ბავშებს ცელქობას და არ უყვარდა მათი სიცილი, მხიარულება. მაშინ გემფრი დაეკითხა თავის თავს: უთუოდ მასწავლებლის მხიარულ ხასიათს, რომელიც მოწაფეებშიაც იწვევს სიხარულს, კეთილი გავლენა უნდა ჰქონდეს ბავშებზე. პირიქით, მეორე აღმზრდელს მეტისმეტი სერიოზულობა და ამის გამო გამეფებული მოწყენილობა უნდა იყოს მიზეზი ბავშის ხშირი ავადმყოფობისაო. ამ მოსაზრების შესამოწმებულად გემფრმა რამდ ნიმე მოწაფე გადაიყვანა პირველ განყოფილებიდან მეორეში. შედეგმა მალე იჩინა თავი: საღმა, სიცოცხლით დამტკბარმა და მხიარულმა ბავშებმა მალე მოიწყინეს, დასუსტდნენ და დაკარგეს ჯამის მადა, ჯანის სიმრთელე ღა სწავლის ხალისიც. ბავშები, რომლებიც „სერიოზულ“ აღმზრდელის განყოფილებიდან „გადაიყვანეს მხიარულ“ მასწავლებელთან, მუდამ მომცინარ და მხიარულ ამხანაგებში, ძრიელ მალე გამხიარულდნენ; იმათ ჯანის სისაღეც მალე დაეტყოთ. ამ ცდამ გემფრს მისცა საბაბი, რომ მოეხთინა სხვა მრავალი ახალი დაკვირვება, რომელმაც დაარწმუნა რომ სიცილ-მხიარულებას დიდი გავლენა აქვს ბავშის ჯანის სიმთელეზე.

ფრანგების ცნობილი მწერალი ექიმი ფლერი, იწვევს ექიმებს და პედაგოგებს მეტი ყურადღებით მოეპყრან ბავშების სიცილს და გახადონ ის გულმოდგინებით დაკვირვების საგნად. „შეისწავლეთ, ჩქარა შეისწავლეთ სიცილის ფიზიოლოგიურ-ჰიგიენური გავლენა ბავშებზე, ამბობს ფლერი—ამ შესწავლას შეუძლია შესცვალოს აღზრდის სისტემა, შეუძლია ჩაუდგას საძირკველი ახალ შეხედულებას ხასიათის აღზრდაზე“.

„გამხიარულდით და იცინეთ ბლომად, თუ გინდათ ჯანსაღი იყვნეთ“ ამბობს ფრანგების ექიმი მეცნიერი ფელიქს ბრემონი, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა სიცილის გავლენა მოზრდილ ადამიანის ჯანმრთელობაზე, მაგრამ თუ მოზრდილთა ჯანსაღობისათვის საჭიროა სიცილი და მხიარულება, მით უფრო საჭიროა ბავშებისათვინ.

ბრემონი, სხვათა შორის, აღნიშნავს სიცილის ჰიგიენურსა და სამკურნალო მოქმედებას სუსტ-გულმკერდიანობაზე: სიცილიო, ამბობს ხსენებული ექიმი, გზავნის ჰაერს გულმკერდიდან სასუნთქავ მილში და თავისი მიწოლით გადევნის ჰაერს ლორწიან კედლებში.

მრავალი დაკვირვება გვიმტკიცებს, რომ დაღვრემილება და მარტოობა ხელს უწყობს განცალკევებას, ამ უკანასკნელს კი მოყვება ფარული ბიწიერება, რაც არღვევს სხეულს, ტვინს და ნებას და რომლის გადაჩვევას ცდილობენ ყო-

ველგვარ ფიზიკურ თამაშობით, პედაგოგიურ-საექიმო დარიგებით, გონებრივ და ფიზიკურ შრომით, მაგრამ ხშირად ამნაირი წამლობა ამაო რჩება.

რომ ბავშები იყვენ უფრო საღი, სიცოცხლით სავსე, მხიარული და მასთან კარგადაც სწავლობდენ, დამოკიდებულია აღმზრდელზე. თვით აღმზრდელი უნდა იყოს ბუნებით მხიარული სიცოცხლით სავსე; ის უნდა იგონებდეს ბავშებისათვინ სხვადასხვა გასართობებს. არ უნდა უკრძალავდეს ბავშებს სიცილს, უნდა უჩვენებდეს ბავშებს სხვადასხვა კარიკატურულ სასაცილო სურათებს. უნდა ავარჯიშებდეს, ვინაიდან ვარჯიში, გარდა იმისა, რომ ბავშების სხეულს ანვითარებს, აგრეთვე აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს. აგრეთვე დიდი ყურადღების ღირსია ბავშების სიმღერის შესწავლა. ამასაც აქვს აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

სამწუხაროდ, ზოგიერთი პედაგოგები პირველ დაწყებითი სწავლების დროს ბავშებს სიცილს უკრძალავენ. აგრეთვე ცდილობენ გადევნონ ბავშების ცხოვრებიდან კარიკატურული სასაცილო სურათები, იცავენ მეტ სერიოზულობას, ცდილობენ ბუნებით მხიარული, უზრუნველი ბავშები. „უდროოდ დააბერონ“ ჰქმნიან იმათთაგან სუსტს, მოწყენილს, დაღვრემილს, ავადმყოფს და მუდამ უკმაყოფილო ბავშებს.

ზოგ სახელმძღვანელოებში არის სასაცილო სურათები, ეს კარგ გავლენას ახდენს ბავშებზე და ხელს უწყობს სწავლის ნაყოფიერებას.

ზოგი მასწავლებელი ბავშების სიცილს ვერ ურიგდება განრისხდება, ყვირის, ლანძღება და ნერვები ეშლება; ყოველივე საშუალებას მიმართავს, რომ ბავშებში შეაკავოს სიცილი, რაც დიდი შეცთომაა.

დიდმა მოაზრემ—კანტმა სთქვა: მხიარულება არ შეიძლება იქნეს ზომაზედ მეტი, რადგანაც ის ყოველთვის წარმოსდგება კეთილისაგინ; პირიქით მწუხარება შეიძლება უზომო, რისი დასაბამი ბოროტებაა.

აღმზრდელს არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ ბავშის სიცილს აქვს ფსიქოლოგიური, პედაგოგიური და ჰიგიენური მნიშვნელობა.

ი. კილაძე.

ბიბლიოთეკა და თვითგანვითარება.

როგორ დამოკიდებულებაში უნდა იყოს ბიბლიოთეკა თვითგანვითარების საქმესთან და სჭირდება თუ არა ბიბლიოთეკას თავისი მუშაობის მეთოდების შეცვლა-შეფარდება სათვითგანვითარებო მუშაობასთან დაკავშირებით? აი კითხვა, რომელიც იბადება თვითეული ბიბლიოთეკასა და თვითგანვითარების დარგში მომუშავის წინაშე.

თუ კი ჩვენ მივიღებთ დებულებას, რომ თვითგანვითარება ეწოდება ცოდნის შეძენის ისეთ მეთოდებს, როდესაც თვითმოსწავლე მოკლებულია ცოცხალი ადამიანის უშუალო სისტემატიურ ხელმძღვანელობას და ის (თვითმოსწავლე) მოქმედობს დამოუკიდებლად განაკვეთების, პროგრამების, წიგნების და სხვა სახელმძღვანელოების საშუალებით; მეორე მხრივ, თუ ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ბიბლიოთეკის მუშაობა თავისი არსით უნდა შეიცავდეს კითხვის ხელმძღვანელობის ყველა საკითხებს, მაშინ ცხადი გახდება, თუ როგორ მჭიდრო კავშირში უნდა იყოს ბიბლიოთეკა თვითგანვითარების საკითხებთან და როგორ დახმარებას უნდა უწევდეს ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობის საქმეს.

რომ დასმული კითხვა ნათელი იქნეს და პასუხი სწორი, ამისათვის ჩვენ მოვიყვანთ მოკლე ამონაწერს საკავშირო კომპარტიის ცეკას აგიტპროპგანათლების თეზისებიდან, აგრეთვე მივუთითებთ თვითგანვითარების დარგში მომუშავეთა მე-2 საკავშირო თათბირის, პოლიტგანათლების მთავარ მმართველობის დარგში მომუშავეთა თათბირის და პროფკავშირთა მე-7 საკავშირო ყრილობის დადგენილებებს.

პარტიის ცეკას სააგ. საპროპაგანდო განყოფილების თეზისებში ნათქვამია: „მასიური თვითგანვითარება შეიძლება წარმატებით განვითარდეს იმისდამიხედვით, თუ რანაირ დასაყრდენს ჰპოვებს თვითგანვითარების ორგანოები საბიბლიოთეკო ქსელში და სხვადასხვა ტიპის სკოლებში. ბიბლიოთეკები (საგუბერნიოდან—მოძრავამდე ჩათვლით) ითვლება თვითგანვითარების მუშაობის წარმოების მთავარ ბაზად მუშათა ფართე მასებს შორის.

ბიბლიოთეკის ამოცანას შეადგენს: თვითმოსწავლის სასწავლო და მეთოდიური სახელმძღვანელოებით მომარაგება, კითხვის ხელმძღვანელობა, სათვითგანვითარებო მუშაობის ჩვევების გაცნობა, საკონსულტაციო დახმარების ორგანიზაცია და თვითგანვითარების ფართე პროპაგანდა.

თვითგანვითარების საქმის დაყენებასთან შეფარდებით ბიბლიოთეკამ თავისი აპარატი უნდა შეაგუოს და განავითაროს აქტიური მუშაობა, კერძოდ უნ-

და დაამუშავოს წასაკითხ წიგნთა სერიები, გამოიყენოს მხატვრული ლიტერატურა, გააძლიეროს ბიბლიოგრაფიული მუშაობა საერთოდ და სხვ.

ბიბლიოთეკების მხრივ თვითგანვითარებისადმი დახმარების საკითხები უნდა ისმებოდეს მთელი თავისი სიგრძე-სიგანით ბიბლიოთეკის მომუშავეთა ცენტრალურსა და ადგილობრივ თათბირებზე და შეტანილ უნდა იქნეს ბიბ. გაერთიანებათა სამუშაო გეგმაში. ბიბლიოთეკის მუშაობა თვითგანვითარების დარგში უნდა გატარდეს თვითგანვითარების და პოლიტგანის მთავარმმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების აქტიური დახმარებით".

ასეთსავე ამოცანებს აყენებენ ბიბლიოთეკების წინაშე ზემოდ დასახელებული სხვა დანარჩენი თათბირები და ყრილობები. ამ საერთო ამოცანებს გარდა, ბიბლიოთეკა უნდა ატარებდეს თვითგანვითარების დარგში შემდეგ კონკრეტულ ღონისძიებებს: 1) თვითგანვითარების ზეპირი და წერილობითი აგიტაცია; 2) თვითგანვითარების წრეებისა და ერთეულებისადმი დახმარება; 3) კომპლექტების შედგენა და სათვითგანვითარებო წიგნების ბირთვი; 4) ბიბლიოთეკის კედლების გარედ მუშაობა და თვითგანვითარების კუთხე; 5) დახმარება დაუსწრებლივ სწავლებისადმი; 6) მკითხველის შესწავლა; 7) კონსულტაცია; 8) მონაწილეობა თვითგანვითარების ბიუროში.

პირველ რიგში უდიდესი ყურადღება უნდა ექცეოდეს (განსაკუთრებით საქართველოში, სადაც თვითგანვითარების საქმე შედარებით უფრო დაგვიანებით დაიწყო) თვითგანვითარების აგიტაციას და მის პოპულარიზაციას. აგიტაციის ორივე ფორმა უნდა იქნეს გამოყენებული ბიბლიოთეკაში.

ზეპირი აგიტაცია შეიცავს დაახლოვებით შემდეგ მომენტებს: საუბარი ცალკე მკითხველებთან, წიგნების ხმამაღალი კითხვა, განსაკუთრებით მხატვრული ლიტერატურისა, კითხვა-პასუხის საღამოების მოწყობა, ბიბლიოგრაფიისა და რეცენზიების საღამო, თვითგანვითარების წრის კრებებზე ანგარიშის გაკეთება, ცუდი მკითხველის ლიტერატურული გასამართლება და სხვა.

წერილობითი ანუ ბეჭდვითი აგიტაცია: ბიბლიოთეკის მეთოდიური და საინსტრუქციო შინაარსის პლაკატები, კედლის კატალოგები და სარეკომენდაციო წიგნების სიები, წიგნების გამოფენა, კედლის გაზეთებში თვითგანვითარების კუთხის გამოყოფა და სხ.

აქვე აუცილებლად უნდა გვახსოვდეს ორი რამ: 1) აგიტაციის ყველა ეს ფორმები რეალური იქნება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ თვითგანვითარების მომენტი გამოყოფილი და გაშუქებული იქნება რაც შეიძლება მკაფიოდ; 2) წიგნების გამოფენა უნდა ატარებდეს სარეკომენდაციო ხასიათს, სადაც უნდა იყოს შერჩეული წიგნების განსაზღვრული რაოდენობა ამა თუ იმ თვითგანვითარების პროგრამის მიხედვით. ამასთანავე, გამოფენილ წიგნებზე დართული უნდა იყოს განმარტებითი ბარათები და ანოტაციები (მოკლე რეცენზია), რომელიც მკითხველს მიუთითებს, თუ როგორ მიუდგეს და დაამუშაოს გამოფენილი წიგნები.

შემდეგი საკითხი არის, თუ როგორ უნდა დაეხმაროს ბიბლიოთეკა თვითგანვითარების წრეებს და ერთეულებს.

წრეებისადმი ბიბლიოთეკის დახმარება უნდა გამოიხატებოდეს მათდამი სათანადოდ შერჩეული წიგნების, პროგრამების, ცნობარების მოწოდებაში, აგრეთვე წრის მეცადინეობაზე დასწრება და რჩევის მიცემა და სხვა.

განსაკუთრებულ ყურადღებას ბიბლიოთეკა აქცევს მკითხველ ერთეულების თვითგანვითარების ხელმძღვანელობას, რომელთაც ეხმარება პროგრამების და სახელმძღვანელოების ამორჩევაში, აწყობს საკონსულტაციო დახმარებას პოლიტკოდნის, მოზრდილთა, სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მოსწავლეთა შორის და სხვ. საკონსულტაციო დახმარება ამ შემთხვევაში ღებულობს უაღრესად დიდ მნიშვნელობას, ვინაიდან აღიჭურვებიან რა მოსწავლენი თვით განვითარების მეთოდებით: თუ როგორ უნდა იკითხონ წიგნი, გაზეთი, როგორ ისარგებლონ ცნობარით, სიტყვარით, რუქით და სხვ., ისინი ისარგებლებენ სარეკომენდაციო წიგნებით და თვითგანვითარების პროგრამებით, სკოლის შემდეგაც.

ამრიგად მუშაობის ასეთი ფორმა ბიბლიოთეკას დააკავშირებს თვითმოსწავლეთა აქტიურ კადრებთან. რაც შეეხება ბიბლიოთეკის მხრივ თვითგანვითარების წრეებისადმი ორგანიზაციულ დახმარებას, ბიბლიოთეკა წრეების ჩამოყალიბებაში აქტიურ მონაწილეობას არ ღებულობს და გამონაკლის ხელსაყრელ შემთხვევების დროს, ჩამოყალიბებულ წრეს გადასცემენ ხოლმე სათანადო ბიუროს ხელმძღვანელობისათვის. გარდა ასეთ გამონაკლისისა, ბიბლიოთეკა ხელმძღვანელობითი მუშაობას აწარმოებს თვითმოსწავლე ერთეულებს შორის.

ბიბლიოთეკის მუშაობა ნაყოფიერი იქნება თვითგანვითარების დარგში, თუ რომ სწორედ იქნება ბიბლიოთეკაში დაყენებული წიგნების კომპლექტების შერჩევის საქმე.

როგორ უნდა მოიქცეს ამ შემთხვევაში ბიბლიოთეკა?

პირველ ყოვლისა უნდა შეიქმნეს ბიბლიოთეკაში თვითგანვითარების საკითხების წიგნების ბირთვი. ამ ბირთვის მასალებად უნდა გამოყენებულ იქნეს: თვითგანვითარების წრეების პროგრამები და სახელმძღვანელო წიგნები; პროგრამები და საჭირო სახელმძღვანელოები ისეთი წრეების და სკოლებისათვის, რომლებიც ხელმძღვანელობის ქვეშ მუშაობენ; პროგრამები სხვადასხვა მოზრდილთა სკოლებისათვის, დაუსწრებლივი კურსები და ამავე ტიპის ჟურნალები; თვითგანვითარების სპეციალური სახელმძღვანელოები, სასწავლო და მეთოდიური ჟურნალები თვითგანვითარებისათვის, ცნობები და მარტივი თვალსაჩინო სახელმძღვანელოები და სხვ.

(დასასრული იქნება)

მ. კანელი.

ტფილისის ბიბლიოთეკები

ტფილისის სახალხო ბიბლიოთეკების საგანმანათლებლო მუშაობა მეტად მნიშვნელოვანია და ყურადღების ღირსი. ჩვენ გვაქვს საშუალება ამ მუშაობას თვალყური ვადევნოთ, ვინაიდან მათი მუშაობის სტატისტიკური აღრიცხვა სწარმოებს აღმ.-სკომის სტატისტიკურ განყოფილებაში. თვალი გადავავლოთ მათ მუშაობას ამ უკანასკნელ ხანებში. ამ შემთხვევაში ჩვენ ვიღებთ ბიბლიოთეკებს წერეთლისა, შაუმიანისა, სტალინისა, ლენინისა, სუხიშვილისა, ზუბალაშვილისა, პლეხანოვის, ტროცკისა, რუსთაველისა და ელიავას სახელობისა. ამ უკანასკნელი ბიბლიოთეკის შესახებ ჩვენ გვაქვს ცნობები მხოლოდ 1927 წლისა. ლენინის სახელობის ბიბლიოთეკა 1927 წელს რამდენიმე თვის განმავლობაში დაკეტილი იყო. ტროცკის სახელობის ბიბლიოთეკაც 1924 წლის აღრიცხვაში არ შედის, ვინაიდან ის შემდეგ გაიხსნა.

იყო წიგნი:

	1924 წლის 1-ლ ინვრისთვის (8 პირველ ზემოდჩამოთვლილ ბიბლიოთეკაში)		1927 წლის 1-ლ იანვრისთვი (8 პირველ ზემოდჩამოთვლილ ბიბლიოთეკაში ლენინის სახელობის ბიბლიოთეკის გარდა)	
	აბსოლ. რიც.	%%	აბსოლ. რიც.	%%
ქართულ ენაზე	4.859	7,4	9.184	12,9
რუსულ ენაზე	50.777	76,2	50.339	70,9
სომხურ ენაზე	9.574	14,3	10.088	14,2
დანარჩენ ენებზე	1.379	2,1	1.297	2,0
სულ	66.589	100,0	71,008	100,0

როგორც ვიცით, უკანასკნელ წლებში ბიბლიოთეკებში ჩატარებულ იქნა წმენდა: შინაარსით შეუფერებელი წიგნები ბიბლიოთეკებიდან ამოირიცხა. ერთსა და იმავე დროს ბიბლიოთეკები შეივსო ახალი წიგნებით. ამ მიმართულებით მუშაობა უკანასკნელ წლებში შეუჩერებლივ სწარმოებდა.

ოთხი წლის განმავლობაში (1924 წლის 1-ლ იანვრიდან) ბიბლიოთეკებში წიგნების რიცხვი გაიზარდა. აი შედარებითი ცნობები ცალკე ბიბლიოთეკებში.

იყო წიგნი:

ბიბლიოთეკები	1924 წლის 1-ლ იანვარს აბსოლ. რიც.	%	1927 წლის 1-ლ სექტემბერს აბსოლ. რიც.	%
წერეთლის სახელობის	6.479	9,7	6.926	9,8
შაუმიანის „	20.518	30,8	19.415	27,3
სტალინის „	9.914	14,9	9.953	14,0
პლეხანოვის „	3.471	5,2	6.885	9,7
ლენინის „	4.992	7,5	—	—
ზუბალაშვილის „	15.558	23,4	16.870	23,8
სუხიშვილის „	1.836	2,8	3.850	5,4
რუსთაველის „	3.821	5,7	4.793	6,7
ტროცკის „	—	—	2.306	3,3
სულ	66.589	100,0	71.008	100,0

ამ ცხრილში ცხადად ვხედავთ წიგნების ზრდას ცალკე ბიბლიოთეკებში ისე, როგორც ასეთივე სიცხადით დავინახეთ ზემოდმოყვანილ ცხრილში წიგნების ზრდა ენის მიხედვით.

ენების მიხედვით, როგორც დავინახეთ, საგრძნობლად გაზრდილა ქართული წიგნების რიცხვი (საერთო ფონდის 7,4 პრო.-დან 12,9 პროც.-მდე). დაკლებულია რიცხვი რუსული წიგნებისა, რაც უნდა მიეწეროს ბიბლიოთეკებში ჩატარებულ წმენდას.

ცალკე ბიბლიოთეკებიდან კი ერთი ორად გაზრდილან ბიბლიოთეკები პლეხანოვისა და სუხიშვილის სახელობისა.

არ არის მნიშვნელობას მოკლებული საკითხი აბონენტების რაოდენობაზე და მათ შემადგენლობაზე. ავიღოთ 1927 წლის აგვისტოს ცნობები. იყო აბონენტი სქესის, ეროვნებისა და სოციალური მდგომარეობის მიხედვით:

სქესი			ეროვნება				სოციალური მდგომარეობა				
მამრობითი	დედრობითი	ს უ ლ	ქართველი	სომეხი	რუსი	დანარჩენი	მუშა	ხელოსანი	მოსამსახურე	დანარჩენი	მოსწავლენი
2420	1782	4202	1887	1337	829	149	431	15	753	126	2877

როგორც ვხედავთ, აბონენტებში უმრავლესობას მამაკაცები შეადგენენ. ეროვნების მხრივ სჭარბობენ ქართველები, შემდეგ უმრავლესობას შეადგენენ სომხები და რუსები.

მოსწავლეობა არ არის სოციალური მდგომარეობა, მაგრამ ეგ კატეგორია სოციალურ მდგომარეობაში შეტანილია პირობით. სამწუხაროთ ბიბლიოთეკები მოსწავლეთა სოციალურ წარმოშობის აღრიცხვას ცალკე არ აწარმოებენ. აბონენტებში, როგორც დავინახეთ ზემოთმოყვანილ ცხრილიდან, მოსწავლეები დიდ უმრავლესობას შეადგენენ. შემდეგი ადგილი აბონენტებში უჭირავათ მოსამსახურეებსა და მუშებს.

როგორც ვიცით, ბიბლიოთეკებთან არსებობენ სამკითხველოებიც, სადაც მსურველთ საშუალება ეძლევათ წაიკითხონ ჟურნალ-გაზეთები და აგრეთვე ბიბლიოთეკიდან გამოტანილი წიგნი. ავიღოთ ცნობები რამდენიმე თვისა.

უსარგებლნიათ სამკითხველოებში:

	ჟურნალ-გაზეთით	წიგნებით
აპრილში	22.517-ჯერ	7.556-ჯერ
ივნისში	20.902 „	6.221 „
ივლისში	18.530 “	6.031 „
აგვისტოში	14.250 „	5.223 „
საშუალოდ თვეში . .	19.049 „	6.257 „

როგორც ვხედავთ, თვეში საშუალოდ მოდის სამკითხველოებშივე სარგებლობის შემთხვევა—ჟურნალ-გაზეთი—19.049, წიგნებით სარგებლობის შემთხვევა—6.257.

აპრილთან შედარებით სამკითხველოებით სარგებლობის რიცხვი თანდათან კლებულობს. და ეს ადვილი გასაგებიცაა, ვინაიდან ზაფხულის თვეებში, როგორც ეს დემოგრაფიული სტატისტიკის ცნობებიდან სჩანს, მოსახლეობა ქალაქში საერთოთ კლებულობს. სამაგიეროდ, მოსახლეობა თანდათან მატულობს შემოდგომაზე, პირველი თვიდანვე. თანაბრად მატულობს სამკითხველოებით სარგებლობის შემთხვევათა რიცხვიც.

სამწუხაროდ ჩვენ არა გვაქვს ცნობები სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა სახლისა და ზოგიერთ სხვა ბიბლიოთეკების შესახებ. განათლების დაწესებულებათა მომავალი აღწერა ჩვენ მოგვცემს უფრო სრულ სურათს ბიბლიოთეკებში წიგნებისა და აბონენტების მოძრაობისას და ჩვენ საშუალება გვიქნება აღწერის დამუშავებული ცნობები მოვათავსოთ ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

მხატვარი მოსე თუმანიძე.

ჩემი ავტო-ბიოგრაფია.

(დაწერილია ჩვენი ჟურნალისათვის)



დავიბადე 1871 წ. ტფილისში — კუკიაში. დედა ჩემი ადრე დაქვრივდა, დავრჩით გასაზრდელი ორი ბავშვი მე და ჩემი უფროსი ძმა. დედაჩემი ნივთიერ გაჭირვებას განიცდიდა და იძულებული იყო, როცა ცოტა წამოვიზარდენით, თამბაქოს ქარხანაში მივებარებინეთ სამუშაოდ, რომ ამ რიგად გვეშოვნა ლუკმა პური. ამ დროს მე ვიყავ 8 წლის. თამბაქოს ქარხანაში ჩემი ძმა „მუნდშტუკს“ ჰკრავდა და მე „გილზებს“ ვახვევდი. დედაჩემი ხელოვანი ქალი იყო— ჰკერავდა აბრეშუმის თაესაკრავებს, ქსოვდა ხალიჩებს და ჰკერავდა მოდის მიხედვით ტანსაცმელს. მას კარგად ესმოდა სწავლის მნიშვნელობა და მიუხედავად დიდის გაჭირვებისა, მიგვაბარა კუკიის პირველ დაწყებით სასწავლებელში. ჩემმა ძმა-

მაც და მეც ეს სასწავლებელი წარმატებით გავათავეთ და გამოცდები ჩავაბარეთ ტფილისის სახელოსნო სასწავლებელში, სადაც ვიქმენ მიღებული. ეს სასწავლებელი იყო პირველი კერა მუშათა რევოლუციონურ შეგნებისა. ჩემი ამხანაგები იყვნენ: ზაქრო ჩოდრიშვილი, არაქელა ოქუაშვილი, ვასო ცაბაძე და სხვანი. მაშინ გამოვიჩინე მხატვრობის სიყვარული: ვასურათებდი არალეგალურ გაზეთს და შემდეგ ჟურნალ „ანკარა“-ს, რომელსაც ჯერ ჩემი ძმა რედაქტორობდა, შემდეგ ზ. ჩოდრიშვილი. ჩვენ კავშირი გვქონდა სხვა მოსწავლე ახალგაზრდობასთან, ჯერ გიმნაზიელებთან, რომელთანაც ერთად ვმართავდით სახალხო უფასო წარმოდგენებს კუკიაში, ჩუღურეთში მაკა თოიძის სახლში, ე. ი. ჩვენ სახლში. ავლაბარში და სხვაგანაც პირველად დავხატე დეკორაციები 1883 წელს თორმეტი წლისამ და, როგორც ყველაზე პატარა, ქალების როლშიც გამოვდიოდი. რამდენიმე წლის შემდეგ შემოგვიერთდენ ინსტიტუტელები: ანდრო ლეჟავა, სემინარიელები და სხვა მოწინავე ახალგაზრდობა: გოლა ჩიტაძე, პეშკოვი (მაკსიმ გორკი), მიხა ცხაკაია, ეგნატე ნინოშვილი და სხვანი.

სასწავლებელში გავათავე ზეინკლობის და მჭედლობის კურსი და მივიღე 1888 წელში ოსტატის ხარისხი და ვიქმენ დატოვებული იქვე ზეინკლობის მასწავლებლად, სადაც დავყავ 1892 წლამდე და შევაგროვე მცირე თანხა, რომლის საშუალებით გავემგზავრე პეტერბურგში სამხატვრო აკადემიაში შესასვლელად.

მაშინ ძალიან გატაცებული ვიყავი ლასალით, ლუი ბლანით, სენ სიმონით და მათ პორტრეტებს უხატავდი დურგლებს, მეჩექმეებს საკუთარ ლექსების წარწერით, რომლის მემწეობით ხელი გავიკეთე და აკადემიაშიც ჯერ თავისუფალ მსმენელად მიმიღეს და შემდეგ ეგზამენის ჩაბარებისა სტუდენტად ჩამრიცხეს. ვსწავლობდი პროფესორ რუპინთან, რომელმაც ერთხელ ველასკეზს შემადარა და სტუდენტებიც ველასკეზს მეძახდენ. აკადემია დავამთავრე წარმატებით 1900 წელს და საკონკურსო სურათი — „მცხეთობა“—ძალიან მოეწონათ, რომლისთვისაც დაბინიშნეს საზღვარგარეთ გასაგზავნი სტიპენდია. ამავე წელს გაზაფხულზე მოხდა სტუდენტთა გაფიცვა, სადაც მეც ვიღებდი მონაწილეობას, რის გამოც აკადემიიდან გამორიცხეს 27 სტუდენტი, რომელთა შორის მეც ვერიე და, როგორც კურს დამთავრებულს, წამართვეს საზღვარგარეთ წასასვლელი სტიპენდია და საკონკურსო სურათსაც კი აღარ მანებებდენ, რომელიც პროფ. რეპინის დახმარებით ძლივს გამოვიტანე. სურათი „მცხეთობა“ იმავე წელს ჯერ პეტერბურგში გამოვფინე და შემდეგ 1901 წელს ტფილისში ასი წლის საიუბილეო გამოფენაზე, რომლისთვისაც მომისაჯეს ოქროს მედალი. ეს სურათი, რომელიც შეფასებული იყო 4000 მანეთად შევსწირე ქართულ საისტორიო და ეტნოგრაფიულ საზოგადოებას, საიდანაც გადატანილ იქმნა სამხატვრო გალერეაში. ამის შემდეგ მე მუდმივ განვაგრძობდი ტფილისში მუშაობას და ვიღებდი მონაწილეობას ყველა გამოფენებზე. პირველი საკუთარი გამოფენა მოვაწყე 1915 წ. ქართულ კლუბში, სადაც ასამდის ექსპონატი იყო გამოფენილი. შემდეგ პირველად მე დავიწყე მოძრავ გამოფენების მართვა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. ნაყოფიერი გამოფენა ალმოჩნდა ქუთაისში, სადაც იქაური



ზ. თოიძე. ამირანი

მოხალისეები ავიყოლიე, რომელთაგანაც რამდენიმე წამომყვა და ეხლა უკვე მხატვრები არიან. 1908 წლიდან 1912 წლამდის უფასოდ ვასწავლიდი ხატვას ტფილისელ მხატვრების მიერ დაარსებულ სამხატვრო სასწავლებელში არშაკუნის სახლში, საიდანაც გამოვიდენ ბევრი ახალგაზრდა ქართველი მხატვრები. 1918 წელს დავხატე სურათი „რევოლუცია“, რომელსაც სიჩუმით შეხვდა და ქება-დიდების მაგიერ, რომელიც წინად გადაჭარბებულიც კი იყო, ჩვენი საზოგადოების ერთმა ნაწილმა ლანძღვით შესცვალა. იმ დღიდან აღარ მთვლიდენ საიმედო პირად და ყველა საქმეებში გვერდს მივლიდენ.

1922 წ. გავხსენ საკუთარი სამხატვრო სტუდია; გამოფხიზლებულმა მშრომელმა მასებმა იგრძნეს კულტურის საჭიროება; სტუდიას მოაწყდა აუარებელი ხალხი და თითო ოროლა მხატვრობის მოყვარეთა მაგიერ მთელი რიგები დაირაზმა ხელოვნებით აღგზნებულთაგან. ეს კი ჩემთვის უდიდესი ბედნიერებაა. მე ვგრძნობ, რომ მხოლოდ დღეიდან, როდესაც ფართო მასები კულტურულად ამაღლდებიან ხელოვნების ჰორიზონტიც მაშინ სტიქიურად შეირყევა და მოგვცემს ხალხიდან უძლიერეს ნიჭიერ ქართველ მხატვრებს. ამ ხუთი წლის განჰავლობაში მოწაფეებმა უკვე დაიწყეს სტუდიის გამოფენების მოწყობა და აღადგინეს ხალხში ხელოვნებისადმი სიყვარული. 10 წლის საიუბილეო გამოფენაზე მოსკოვში სტუდიის მოწაფეებმა მიიქციეს ყველაზე მეტი ყურადღება, რისთვისაც საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ მადლობა გამოუცხადა ტფილისის აღმასკომს სტუდიისადმი ყურადღებისათვის. ამ გარემოებამ გამიცოცხლა იმედი, დამაჯილდოვა ახალი რწმენით, მომმატა ენერგია და შეუდეგ ახალ სურათების ხატვას, რომელსაც სხვა დროს ვერ შევძლებდი.

მ. კანელი

ნ. ა. ნეკრასოვი

[გარდაცვალებიდან 50 წლის შეხრულების გამო]

Родился я в губернии
далекой и степной
и рано встретил тернии
в юдоли сей земной.


ნ. ნეკრასოვი

ნ. ნეკრასოვი ერთერთი უდიდეს პოეტთაგანია.

არა ერთხელ აღინიშნა, რომ ნეკრასოვს, როგორც პოეტს განგებ ამცირებდა მთელი მთავრობა, განგებ ჩრდილავდა და ტალახში სვრიდა, ამბობდნენ, რომ ის, როგორც მხატვარი, ვერ არის მისაღები, არ არის პოეტი. ნამდვილად საქმე სულ სხვა გარემოებაში იყო. ნეკრასოვი, როგორც პოეტი—მოჭალაქე, არ იყო მისაღები იმ თაობისათვის, რომელიც თავის ბედნიერებას სხვის უბედურებაზე აშენებდა. აქედან იწყება ბრძოლა პოეტის წინააღმდეგ.

ნეკრასოვის პოეზია მრავალფეროვანია, თემატიკა პოეტისა მდიდარია, პოეტური სტილი

გამართული და ხალხური ლექსიკონით შევსებული. ლიტერატურული ფონი, რომელზედაც ამოიქარგა ნეკრასოვის მხატვრული სიტყვა—არის ბატონ-ყმური ურთიერთობა და ის უმწეო მდგომარეობა, რომელშიაც რუსეთის აბსოლიუტიზმის დროს იმყოფება რუსი გლეხი, რუსი მოქალაქე. ეს იყო ორმოციანი წლების დასაწყის-



ნ. ა. ნეკრასოვი

ში, როდესაც ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი, სოფელთან შედარებით, თანდათან მრავლდებოდა და ჩნდებოდა ახალი თაობა დემოკრატიული მკითხველებისა.

ნეკრასოვის ლექსებს განსაკუთრებული წარმატება ერგო ამ მკითხველებში. ჩასაკვირველია, ეს უმთავრესად იმ სოციალური შინაარსით აიხსნება, რომელიც ნეკრასოვის პოეზიას ახასიათებს: პუშკინს და ლერმონტოვს და ბევრ სხვა პოეტებს ბევრი ლექსი აქვთ სოციალური მოტივებით. მოვიგონოთ თუნდაც „Деревня“, „Посланье в Сибирь“ და სხვა პუშკინისა, „На смерть поэта“ და სხვა ლერმონტოვისა. მაგრამ ეს შემთხვევითი თემები ნეკრასოვმა უღრესად განავითარა. დეკაბრისტებისადმი მიძღვნილი ლექსი პუშკინისა, შედარებით, პატარა ნაწარმოებია ნეკრასოვის პოემასთან, რომელშიც დეკაბრისტების ცოლებია დახატული და ეწოდება: „Русские женщины“.

საყურადღებოა, რომ დეკაბრისტები ჩვენი პოეტის დიდ ყურადღებას იპყრობდა. მან ყურადღებით შეისწავლა ისტორიული მოვლენა, რომელშიაც დეკაბრისტები იღებდნენ მონაწილეობას და მხატვრულად ასახა „თავისუფლების პირმშოთა“ გმირული თავდადება. ნეკრასოვის თხზულებებს, განსა უთრებით პოემას „Русские женщины“ დიდი წარმატება ხვდა წილად. ცხადია, ეს გარემოება აიხსნება რევოლუციონურად განწყობილი ახალთაობის თანაგრძნობით. პოეტი სავსებით იდგა რევოლუციის მხარეზე. ის აღიძებდა რევოლუციონურ შეგნებას, აღვივებდა ზიზღს ჯანდარმულ წყობილებისადმი. ნეკრასოვის მთელი თანაგრძნობა ჩაგრულებისკენ იყო და ეს შესაფერისად დაეფასეს, როგორც მისმა მეგობრებმა, რომელნიც ცდილობდნენ მისთვის ხელის შეწყობას, ისე მ რებმა, რომელნიც ცდილობდნენ დაემცირებინათ პოეტი. უპირველესი ადგილი ნეკრასოვის პოეზიაში გლეხობას, მის ფიქრებსა და ავკარგს უჭირავს. აქ ჩვენ უნდა მოვიგონოთ მთელი რიგი ნეკრასოვის თხზულებანი, რომელნიც განსაკუთრებულის გრძნობითა და სტილით არის დაწერილი. ეს თხზულებებია: „Мороз-красный нос“, „Валет“, „Железная дорога“ „Плач детей“, „Размышления у парадного подъезда“ და სხვა.

დიდი პოეტი შესაფერისად იქნა დაფასებული სხვადასხვა ლიტერატურულ კრიტიკოსების მიერ. ნეკრასოვის შესახებ არსებობს მთელი ლიტერატურა. მაგრამ ძველი თაობა მოკლებული იყო საშუალებას, ცენზურულ პირობების გამო დაეფასებინა პოეტი—მოკალაქე—დღეს ამ მხრივ დაბრკოლებები არ არის და დიდი პოეტის ხსოვნა შესაფერისად აღინიშნა საბჭოთა კავშირის ყველა ჟურნალ-გაზეთებში.

ქართულს ენაზე არის ნ. ა. ნეკრასოვის რამდენიმე ლექსის თარგმანი: „მესმის ომის ხმა“, „ბრძოლათა ზარი“... (ა. ახვლედიანის წიგნში), „როს ბნელ ქუჩაზე ღამით მომესმის ჭარის ხმა“ („ჩანგი“ გვ. 405). „ოდესღაც შენგნით უარყოფილი“ (გაზ. „წყარო“ № 10, 1913 წ.) და სხვა.

ლა—შა

ასე აღარ შეიძლება

ქვეყნის კულტურულად წინსვლაში გამომცემლობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მეფის მთავრობის დროს ქართულ ენაზე გამოცემული წიგნი იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა; არც მენშევიკური მთავრობა იყო გამომცემლობით დაინტერესებული. მაშინ ეს საქმე კერძო პირების ხელში იყო და იშვიათად იხილავდა კარგი ნაწარმოებიც კი მზის სინათლეს.

საბჭოთა ხელისუფლებამ გამომცემლობის საქმე თვით აიღო ხელში და ეროვნულ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დონემდი აიყვანა. ამიტომაა გამომცემლობის საქმე ასე ფართოდ დაყენებული.

მაგრამ ჩვენს გამომცემლობას თავიდანვე ერთი ნაკლი დაყვა, რაც მის ნაყოფიერ მუშაობას ხელს უშლიდა და გამომცემლობის საქმეს დიდს ზიანსა და ზარალს აყენებდა. მის გარშემო თავიდანვე შემოიკრიბა განსაზღვრული წრე, მგეობრობასა, ნაცნობობასა თუ ნათესავურ ურთიერთობაზე დამყარებული, და გარეშე ამ წრისა, იშვიათად თუ რომელიმე ავტორი ეღირსებოდა გამოცემას. როგორც განათლების კომისარი აღნიშნავდა ერთ-ერთ კონფერენციაზე, ყოფილა ისეთი შემთხვევაც, როდესაც ერთი ავტორის სახელმძღვანელო დაუწუნიათ, მაგრამ იგივე სახელმძღვანელო სხვა პირის მიერ ხელმოწერილი, მოუწონებიათ და გამოუცია კიდეც.

თუ საზოგადოდ გამოსაცემი წიგნი დიდს შერჩევასა და დაკვირვებას საჭიროებს,—განსაკუთრებული სიფრთხილე და შერჩევა საჭირო, როდესაც საქმე სასწავლო წიგნს შეეხება. ასე უყურებს საკითხს განათლების კომისარიატი და ამიტომაც ძასთან დაარსებული იყო პირველად სამეცნიერო საბჭო,—ახლა მეთოდიური ბიურო, რომლის მოვალეობას, სხვათა შორის, წარმოდგენილ სახელმძღვანელოების განხილვა და შერჩევა წარმოადგენს.

მაგრამ აქ, როგორც ეს ამ ბოლო ხანებში აშკარად გამოირკვა, სახელმძღვანელოების გარჩევა კი არა,—თვით ავტორების შერჩევა სწარმოებს თურმე.

სახელმძღვანელოების წერა და გამოცემა ერთგვარ ავადმყოფობად გადაიქცა. რაც გამოწვეულია ჩვენი ახალი სკოლის ინტერესებით კი არა იმდენად,—რამდენადაც საკუთარი ჯიბის კეთილდღეობით. ვინ გინდა სახელმძღვანელოს არ სწერდეს? პედაგოგები და არაპედაგოგები, მეცნიერნი და უვიცნი, განსაკუთრებით ისინი, ვისაც გამოცემის გარანტია მიღებული აქვს და პატენტი აღებული. და ბიუროს გარშემო დაჯგუფებულ ავტორთა შეჯიბრი, უკვე წრეს გადაშორდა. ასეთ პირობებში ავტორები თავიანთი წიგნის თვისებასა და ღირსებაზე არ ზრუნავენ; ისინი მხოლოდ გამოცემის ჟინით არიან გატაცებულნი და ამას ზოგი მათგანი მიხვეულ-მოხვეული გზებით ანხორციელებს კიდეც.

ჩვენ აქ გვაინტერესებს სწორეთ ეს მიხვეულ-მოხვეული გზები, რადგან ის მეთოდიური ბიუროზე გაიცლის, რამდენადაც უკანასკნელის ნებადაურთველად არც ერთი სახელმძღვანელოს გამოცემა არ შეიძლება. ამ ბოლო ხანებში გამოსაცემად ნებადართული სახელმძღვანელოებით მეთოდიურმა ბიურომ ხათელყო თავისი მოღვაწეობა. თავის დროზე ამ წიგნების შესახებ „კომუნისტში“ დაიბეჭდა რეცენზიები. ამ უკანსკნელად გამოცემული „სახელმძღვანელოს“ შესახებ ჩვენი ჟურნალის მე 6 ნომერში დაიბეჭდა წერილი. მაგრამ ზოგი ავტორისა და მეთოდიური ბიუროს „მოღვაწეობის“ ნიმუშად არ იქნება ზედმეტი პასუხისმგებელი ამხანაგების აზრის მოყვანაც. აი რას ამბობს ამხ. მუშიშვილი ს. კ. პარტიის მეხუთე ყრილობაზე: (იხ. „კომუნისტი“ № 259) „განათლების კომისარიატთან არსებობს ერთი „დაწესებულება, რომელსაც ეწოდება „მეთოდბიურო“. გამოსცა სახელმძღვანელო ი. რუხაძის „საქართველოს გეოგრაფია“. ჩვენ სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: ა.-კავკასიის ფედერაციას თავმჯდომარეობს მორიგეობით თვითეული რესპუბლიკის წარმომადგენელი, რომელიც ამავე დროს ითვლება თავის ქვეყნის საგარეო საქმეთა კომისრად“ (სიცილი; ადგილიდან: ვინ გაუშვა ეს წიგნი) ეს წიგნი ჩვენ დავიჭირეთ და არ გამოუშვით. არის კიდევ მეორე შემთხვევა იმავე მეთოდბიუროს „მოღვაწეობიდან“. გამოიცა არა ნაკლებ მნიშვნელოვან საკითხზე დაწერილი სახელმძღვანელო ვინმე „ცნობილ პედაგოგის“ დ. თოფურიასი—„საბჭოთა კონსტიტუცია“. პატივცემული ავტორი ეხება მეტად მნიშვნელოვან საკითხს ჩვენი კონსტიტუციისა,—საარჩევნო ნორმას, რატომ არის განსხვავება საარჩევნო ნორმებში ქალაქად და სოფლად? და... „ჰასაკის“ არგუმენტაციით, უბრალოდ, კალმის ერთი მოსმით, გადაჭრილია პროლეტარიატის დიქტატურის დამახასიათებელი ერთ-ერთი ძირითადი მომენტი—„განსხვავება ქალაქისა და სოფლის ამომრჩეველთა ნორმებში“. ვულგარიზაცია, უტვინობა და იდიოტობა ამაზე შორს ვერ წავა... ეს წიგნიც ცენტრალურმა კომიტეტმა დაიჭირა. არც პირველი, არც მეორე არ გამოსულა; სახელგამმა კი რამდენიმე ათასი მანეთი იზარალა“. ასეთი აზრის არიან ხელმძღვანელი პირები მეთოდიური ბიუროს მოღვაწეობის შესახებ. კიდევ მრავალი უარყოფითი მოვლენების აღნუსხვა შეიძლებოდა გამომცემლობის გარშემო, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ესეც საკმარისია იმისათვის, რომ განათლების კომისარიატმა ამ უკუღმართობას ყურადღება მიაქციოს და გამოსასწორებელი ზომები მიიღოს.

— —

ნინო ძიძიგური და პ. აფხაიძე. „ჩირაღდანი“, სამუშაო წიგნი სწავლების მეორე წლისათვის, გამოცემა მეორე, სახელგამი, გვ. 376, ფასი 1 მ. 50 კ. კარგ სახელმძღვანელოს მოუთმენლად მოველით, საკმაოდ გაიტანჯა მოწაფეცა და მასწავლებელიც, არც მშობლის ჯიბე არის უკეთეს გუნებაზე. „ნეტარად მოსაგონ ძველ დროში“ ერთ სახელმძღვანელოზე მგონი რამდენიმე თაობაც კი იზრდებოდა ყოველ შემთხვევაში ერთი ოჯახის შვილები უზრუნველყოფილნი იყვნენ. დღეს კი სახელმძღვანელოები სოკოებივით ჩნდება და წამსვე ხმარებიდან გამოდის. საბედნიეროთ „ჩირაღდანი“ ასეთი ბედის არ უნდა იყოს, ამის თავდე-

ბია უპირველეს ყოვლისა მისი შინაარსი, რაც საერთოდ აკმაყოფილებს ყველა იმ მოთხოვნილებებს, რომელსაც ჩვენი ახალი სკოლა მიზნად ისახავს. სახელმძღვანელოს ავტორებს საერთოდ დაცული აქვთ მხარეთმცოდნეობის და სეზონობის პრინციპი, მხედველობაში აქვთ მოწაფეთა თვით ორგანიზაციების და საზოგადოებრივ სასარგებლო შრომის მოთხოვნილებანი. ამ ფარგლებში სახელმძღვანელოში მოცემულია როგორც მხატვრული, ისე მეცნიერული ხასიათის სტატიები, ნაჩვენებია ბუნებაზე დაკვირვების სახეები, აღრიცხვის ჩასატარებელი გეგმა და სხვ. ეტყობა ავტორები დეტალურად იცნობენ განახლებულ სკოლას და სრულიად ნათლად აქვთ წარმოდგენილი როგორც მისი მიზნები,ისე სამუშაო მეთოდები. წიგნი მდიდარია მასალის მხრივ და მასალაც საკმაო მრავალფეროვნებით არის შერჩეული. მაგრამ წიგნს მაინც აქვს რამდენიმე დეფექტები, რაც უნდა გასწორებულ იქნას შემდეგი გამოცემისათვის. პირველი, რასაც უნდა მიექცეს დიდი ყურადღება, ეს სახელმძღვანელოს ენაა; ამ მხრივ წიგნი საერთო დამაკმაყოფილებელ შთაბეჭდილებას სტოვებს, მაგრამ აგერ ეგერ მაინც წააწყდებით ან უხერხულ გამოთქმას ან და აზრის ორჭოფად გამოსახვას. მაგ. 117 გვ. ჭოგრიტი ასეა ახსნილი: „შორსმჭვრეტელი იარაღი“ განა თითონ იარაღი იჭვრიტება შორს? უნდა იყოს „შორს-გასაჭვრეტი იარაღი“. 140 გვ. სწერია: „გაბაფხულზე ექსკურსიით გინახულებთ“, ავტორებს უნდა ეთქვათ-კიდევ მოვაწყობთ ექსკურსიას და გნახავთო აგრე თქმა კი შეცდომაა. 179 გვ: „წყლის სამი მდგომარეობა“, ეს რუსიციზმია, უკეთესი იქნებოდა წყლის სამნაირი მდგომარეობა. 101 გვ: „როგორ დაათვალიერეს კოტეს ოჯახი“, მოწაფეს აქვს ოჯახი,თუ მის მშობლებს? გარდა ამოწერილისა წიგნში კიდევ შეგხვდებათ შესასწორებელი ადგილები. ალაგალაგ სასვენი ნიშნების დასმაც მოიკოჭლებს, მაგ 252 გვ. სტატია „კამათში“ არსად გაკვირვებითი ნიშანი არ არის ნახმარი. ასეთ შეცდომებს სხვა სტატიებშიც წააწყდებით. არის კორექტურული შეცდომაც, მაგ. 350 გვ. „მუშკოპი“, 277 გვ. „ძემართება“, „მემართებას“ მაგიერ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგიერთ სტატიებს ხელოვნურობა ეტყობა. ძალიან საეჭვოა რომ მეორე ჯგუფის მოწაფე ბრძნულად და წიგნის ენით გამოებაასოს ბაბუას,როგორც ეს არის 291 გვ.მოყვანილ სცენაში: ბაბუა და შვილიშვილი“. ვფიქრობთ, რომ გარდა ხელოვნურობისა, აქ ძნელად შესათვისებელ საგნებზედაც არის ლაპარაკი, ამიტომ ასეთ სტატიას ამ წიგნში ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ავტორები უნდა აცადონ, რომ მომავალში უფრო მეტი მასალა შეიტანონ ცნობილ მწერლების ნაწერებიდან. „ჩირაღდანის“ ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ავტორებს გრამატიკისათვისაც მიუქცევიათ ყურადღება. მაგრამ მასალა შედარებით ცოტა არის მოყვანილი. სასურველია აგრეთვე, რომ ზეპირი მეტყველების განვითარების ხელის შესაწყობად უფრო ბლომად იყოს მოყვანილი მოთხრობების შესადგენი სურათები. დასასრულ ვერ გაგვიგია რა მიზნით არის წიგნის 206 გვერდზე მოთავსებული თ. რაზიკაშვილის სურათი, რომელსაც ქვევით უწერია: ბავშების მწერალი (?!) თუ ამ უკანასკნელის მიზნით

არის ეს, მაშინ სხვებიც უნდა იყოს ნახსენები, მაგ. შიო მღვიმელი, ირ. ევდოშვილი, ვაჟა-ფშაველა და სხვ.

სართოდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ წიგნი სასარგებლო სახელმძღვანელოა და ღირსეულადაც არის ჩვენი სკოლების მიერ დაფასებული.

ვ. ხ—ე.

დ. გვაზავა და ვ. ბახტაძე. კლასთა ბრძოლის ისტორია. დამხმარე სახელმძღვანელო ტეხნიკუმებისთვის საზოგადოებათმეცნიერებაში. სახელგამი. ტფილისი. 1927 წ. გვ. 249. ფასი—2 მ. 25 კაპ.

საზოგადოებათმეცნიერების სწავლება საშუალო სასწავლებლებში ახალი საქმეა. იგი არ არის მდიდარი გამოცდილებით და სხვაზე ღარიბია საჭირო სახელმძღვანელოებით. საზოგადოებრივ მეცნიერების ისეთს პოპულიარულ დარგშიც კი, როგორიც პოლიტიკური ეკონომიაა, არა თუ ჩვენში, არამედ მთელს კავშირში არ მოიპოვება საშუალო სასწავლებელთათვის გამოსადეგი უნაკლო სახელმძღვანელო, გასაგებია, რა მდგომარეობაში იქნება სოციოლოგიის ცალკე საკითხები, რომელნიც წარსულში კვლევის საგნად იშვიათად ხდებოდენ.

ამის გამო ყოველი ახალი ნაშრომი ამ დარგში აღსანიშნავია. იგი წინასწარი პირობაა აღძრულ საკითხის უფრო დამუშავების, მისი პოპულარიზაციისა და თვითონ საგნის სწავლების მტკიცე საფუძველზე დაყენების.

აღნიშნული ნაშრომიც ამ მხრივ არის საყურადღებო. წინასწარ განმარტებების შემდეგ, წიგნში დახასიათებულია ყველა დღემდე ცნობილი ეპოქები მათი კლასიური დიფერენციაციის მიხედვით, კლასიურ წინააღმდეგობათა გამომწვევ მატერიალურ ელემენტებისა და იმ ფორმების მიხედვით, რომელშიაც მეღავნდებოდა ამა თუ იმ ეპოქის მთავარ მოწინააღმდეგე კლასების ბრძოლა და რაც მთავარია, წიგნში **შეფარდებულია საქართველოს ისტორიის თავისებურ მოვლენებთან** და ჩვენს წარსულთან დაკავშირებით მთელი რიგი საკითხებისა ფართოდ არის გაშუქებული, რომლის მსგავს იშვიათად შეხვდებით სხვა პოპულარულ გამოცემებში.

ასეთი აღსანიშნავი ადგილებია მაგ., სახელმწიფოს დაარსება საქართველოში, პატრონ-ყმობა, საქალაქო მეურნეობა საქართველოში, საქართველო სავაჭრო კაპიტალიზმის ხანაში და სხ.

წიგნი მეთოდოლოგიურად უსათუოდ დამაკმაყოფილებელია. მასში თვითეულ ეპოქის გასაღებად მომარჯვებულია მარქსისტული მეთოდი; ეპოქის სოციალური და პოლიტიკური მოვლენები დაკავშირებულია სამეურნეო ფაქტორებთან, რომელიც მთავარი მიზეზი იყო ძველისა და ახალი საზოგადოების კლასების წარმოშობის, კლასთა ბრძოლის გაჩაღების და აქედან თვითონ ისტორიულ განვითარების, რის მთავარ მამოძრავებელ ფაქტორებად ეს კლასები ითვლებიან, დამთავრებულად არის მოცემული.

რაც შეეხება საკითხის დამუშავებას, შეიძლება აღინიშნოს ზოგიერთი დეფექტები: არ არის განმარტებული ცნება **„კლასი“ ან „კლასთა ბრძოლა“**, რომლის გარჩევა წიგნის შესავალში, იქ სადაც სხვა ძირითადი ცნებებია მოცემული, მიზანშეწონილი იქნებოდა.

არის ზოგიერთი ბუნდოვანი ადგილები მაგ., იქ სადაც ცნება „საზოგადოება“ არის განმარტებული, რომელიც ყოველ **ცოცხალ არსებასთან და** „მათ შორის ადამიანთან“ არის დაკავშირებული (გვ. 1), თუმცაღა საზოგადოებას მხოლოდ ადამიანები ქმნიან, როგორც ამას ავტორებიც შემდეგ იქვე აღნიშნავენ. არ არის დასახელებული წყაროები.

მაგრამ ეს ისეთი სახის დეფექტებია, რომელიც შემდეგ გამოცემებში დამუშავდება.

წიგნის მოცულობა და მასალის სიუხვე, მოწაფეს ამომწურველ ცნობებს მიაწვდის აღნიშნულ საკითხზე და იგი უსათუოდ მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერს ჩვენს საშუალო სასწავლებლებთათვის საზოგადოებათმეცნიერების სახელმძღვანელოთა შორის.

ა. ი.

მოსე გოგიბერიძე „სპინოზა“ 1927 წ.

1. სპინოზას სისტემის ამოსასვლელი პრაქტიკულია. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ სპინოზას მთავარ ნაწარმოებს „ეთიკა“ ეწოდება.

სპინოზამ ვერ გაუძლო სინაგოგურ მონობას და დიდი სულიერი ბრძოლის შემდეგ, თავი დაანება მას. თავის დაღწევის გამართლებისათვის მას თეორიული დასაყრდენი სჭირდებოდა. ასეთს ის სხვა რელიგიაში ვერ პოულობდა. ასეთ განწყობილებაზე მას აყენებდა ჰოლანდიაში ახლად აღორძინებული ბურჟუაზიის იდეა ინდივიდუალურ თავისუფლებისა, ამას თან ერთოდა ახლად აღორძინებული ბუნების მეტყველება და დეკარტეს ფილოსოფია. ამ პირობების ზეგავლენით სპინოზა თეოლოგიზმს მოსწყდა. ეთიკა თეოლოგიზმისაგან ჩამოცილების გამართლებაა. იქ, სადაც იდეალიზმი და თეოლოგიზმი ეთიკაში ხვთაებრივს ხედავდა, სპინოზამ აფექტების შემბოჭველი გონების მოქმედება დაინახა.

2. სპინოზას ფილოსოფია მომარჯვებულია დეკარტეს სისტემის გასასწორებლად. ამისათვისაა, რომ სპინოზა ონტოლოგიით იწყებს და არა გნოსეოლოგიით. დეკარტე არსებულის არსებობაში შეეჭვებით იწყებს. სპინოზა არსებულიდან გამოდის. სპინოზას ფილოსოფიაში გნოსეოლოგია კი არ არის prima philosophia, არამედ ონტოლოგია. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ სპინოზას არაფერი გაეგებოდა გნოსეოლოგიის. პირ იქეთ, მან საუკეთესოდ გადასჭრა გნოსეოლოგიის საკითხები.

აქ მოყვანილ მოსაზრების საბუთად ავტორს ეთიკის პირველი დებულება მოყავს.

Causa sui სპინოზას ფილოსოფიაში ღმერთი კი არ არის მართლა, არამედ ბუნება. ამის საბუთს იძლევა სპინოზას თქმა Deus sive nafura. ავტორს მეორე საბუთიც (ორიგინალური) აქვს მოყვანილი: ეთიკაში რომ სიტყვა ღმერთი ამოვშალოთ, ამით არაფერი შეიცვლება, ხოლო ბუნების მაგიერ რომ ყველგან ღმერთი ვიხმაროთ, გაუგებრობას გამოიწვევს.

3. მიუხედავად იმისა, რომ სპინოზას თავისი ფილოსოფია გნოსეოლოგიით არ დაუწყია და გნოსეოლოგიური საკითხები სპეციალური კვლევის საგნად არ გაუხდია, ეს იმას არ ნიშნავს რომ გნოსეოლოგიური საკითხები მას ნაკლებად ესმოდა. პირ იქით: მან მშვენივრად, სხარტად და მოკლედ გადაჭრა გნოსეოლოგიის ძირითადი საკითხები. როგორ არის შესაძლებელი შემმეცნებელის მისვლა შესაცნობთან? სპინოზა უპასუხებს: „რიგი და წესწყობა იდეებისა არის ისეთივე, როგორი რიგი და წესწყობაც აქვს საგნებს". სპინოზა შემეცნების პრობლემის მოგვარებას იწყებს გნოსეოლოგიური პრობლემის ობიექტიური რიგიდან.

შემეცნებული საგანი რომ მართლა ისეთია, როგორადაც ის შემეცნებულია, ამის გარანტია სად არის? ამ მეორე ძირითად გნოსეოლოგიურ კითხვაზე სპინოზა შემდეგ პასუხს იძლევა: კერძო საგნების ამგვარად და არა სხვაგვარად არსებობის საზომს ბუნებაში არსებულ სხეულთა წესწყობის ზოგადი ბუნება იძლევა. პასუხი რეალისტურ-ნატურალისტური. შემეცნების ამოსავალ და მისავალ წერტილად დასახულია თვით საგანი.

ავტორის შემდგომი საკითხი შეეხება სპინოზას ნააზრევის დიალექტიურ ინტერპრეტაციას. ამისათვის მას მოყვანილი აქვს სუბსტანციისა და ატრიბუტების დამოკიდებულება და ეს გამოყენებულია, როგორც ერთ-ერთი გამოსახულება სპინოზას ნააზრევის დიალექტიური ნაკადის. ამავე მიზნისათვის გაკვრით ნათქვამია თავისუფლებისა და აუცილებლობის დაპირისპირების შესახებ.

4. ის, რაც დეკარტეს დაუთავებელი და ბოლომდე მიუყვანელი დარჩა ბუნების მექანიზაციის საკითხში, სპინოზამ ლოღიკურად გამართა და ბოლომდე დაიყვანა. ასეთი იყო ადამიანის ბუნების გაგება: დეკარტემ მთელი ბუნება მექანიზმად გამოაცხადა, მხოლოდ ადამიანი დარჩა აქედან გამორიცხული. სპინოზამ ესეც დაასრულა დეკარტეს ნააზრებში: „ჩემის აზრით ადამიანი, როგორც ყველაფერი დანარჩენი, ბუნების მხოლოდ ერთი ნაწილია".

ასეთი არის ავტორის წიგნაკის არსებითი შინაარსი, ავტორის მიზანს შეადგენს სპინოზას ნააზრები თავის მთავარ კვანძებში მატერიალიზმამდე დაიყვანოს. მართლაც, ავტორის თქმისა არ იყოს, სპინოზას ნააზრები დიდი დავის საგნად არის გადაქცეული. მაინც ამ სისტემას ისეთი ფორმა აქვს, რომ ყველა მიმართულებას ერგება*)

*) სხვათა შორის, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სემინარშიც გამოითქვა თავისებური აზრი სპინოზას შესახებ: მას ალეთოლოგიური ინტერპრეტაცია უყვეს და შესანიშნავად მოერგო ალეთოლოგიურ რეალიზმსაც.

ავტორის მიდგომა თავისებურია. ყველა მოყვანილი მოსაზრებანი მატერიალისტური ხედვაა სპინოზას სისტემაში. პრაქტიკულ ამოსავლელის მონახვით სპინოზას ფილოსოფიაში თავიდანვე აცილებულია თეოლოგიზმი, რადგან ის ეთოსი, რომელსაც სპინოზა დაეძებს, არის არა თეოლოგიური, არამედ სოციალური. ცდუნებისა და ეშჰაკის მაგიერ ახლა სპინოზა აფექტებს ხედავს, ხოლო ღვთაებრივი სიკეთის მაგიერ საღი გონების კარნახს. პრაქტიკულ ამოსავლელზე მითითება სპინოზას უფრო აახლოვებს მატერიალიზმთან, ვიდრე თუ გინდ გნოსეოლოგიური პუნქტი, რადგან არსებობიდან გამოსვლა და გნოსეოლოგიური საკითხის ობიექტიური გადაჭრა ზოგ სხვა მიმართულებასაც ახასიათებს (მაგ. ალეთოლოგიურ რეალიზმსაც).

ორიგინალურად გამოყენებულია გნოსეოლოგიური ინტერპრეტაცია; ნათლად არის ნაჩვენები შემეცნების ობიექტურ. თავდები ბუნებაში არსებულ საგანთა ზოგად წესზე მითითებით.

თავისებურ ცდას წარმოადგენს დიალექტიური ნაკადზე მითითება, მაგრამ როგორც თვით ავტორი შენიშნავს, ინტერპრეტაცია სიცხადემდე არ არის დაყვანილი.

ნ ა რ ე ვ ი


აღმოსავლეთ აფრიკაში არის საფრანგეთის ახალშენი ჯიბუტი. ამას წინად იქ იყო სამეცნიერო ექსპედიცია, რომელიც, სხვათაშორის, გაეცნო ნეგრების ერთი მოდგმის სარაჯინგეს ყოფა-ცხოვრებას. სარაჯინგეს ქალებს და ვაჟებს საკვირველი შეხედულობა ჰქონიათ ქალის სილამაზეზე. აქ მოყვანილი სურათი არ გეგონოთ ფანტაზია, ან ხელით დახატული კარიკატურა. ეს ფოტოგრაფიით გადაღებული სურათია და წარმოადგენს სინამდვილეს.

სარაჯინგეს ხალხის ჩვეულებით 5—6 წლის ქალი უსათუოდ უნდა დაინიშნოს ვისმეზე. ასეთი ჩვეულება, როგორც ვიცით, სხვაგანაც იყო და არის გავრცელებული. მაგრამ სარაჯინგები დანიშნულ ქალიშვილს გაუხვრეტენ პირის ბა-



გეებს და გაუყრიან შიგ წვრილ ჩხირს, რომ ნახვრეტი არ შეეზარდოს. სამი თვის შემდეგ ნახვრეტში გაუყრიან უფრო მსხვილ ჩხირს; კიდევ სამი თვის შემდეგ უფრო მსხვილს და ბოლოს გადაიტანენ მრგვალ ფირფიტაზე, რომელსაც სცვლიან ყოველ სამ თვეში უფრო და უფრო ფართეთი. ბოლოს ასეთი საშუალებით ტუჩები გადაიქცევა ხორცის რგოლებად, სალტეებად, რომელიც შემოჭერილი აქვს თეფშის ოდენა ხის ფირფიტს, განით 20 სანტ. და მეტიც. 13—14 წლის ქალიშვილი, ასეთი ჯამებით ტუჩების ადგილას, ლამაზ ქალად ითვლება და შეუძლია დანიშნულს შეუყოლდეს. მაგრამ ამ ველური ჩვეულების თუ მოდის საბრალო მსხვერპლი იძულებულია მთელ თავის სიცოცხლეში იკვებოს თითქმის მარტო რძით, რადგან მაგარი საჭმლის ჭამა ალარ შეუძლია.


ავტომობილი ამფიბია. უკანასკნელ დროს გახშირდა ისეთი ავტომობილები, რომლებიც თავისუფლად დადის ხმელეთზეც და წყალზეც. ერთი ისეთი ავტომობილია წარმოდგენილი ჩვენ სურათზე. ეს ჩვეულებრივ ავტომობილსა ჰგავს, მაგრამ მისი ფეხი წარმოადგენს ნავს, რის



გამოც შეუძლია წყალზეც იაროს, ამისთვის უკან გაკეთებული აქვს საავიაციო პროპელერი, რომელსაც ამოძრავებს 70-ძალიანი მოტორი. ხმელეთზე კი ეს მანქანა დადის როგორც ჩვეულებრივი ავტომობილი და პროპელერი გაჩერებულია.

გერმანელმა ინჟინერმა ენსტ რეინკემ გააკეთა მოდელი სამგზავრო მფრინავი ავტომობილისა, რომელიც აღჭურვილია აეროპლანის ფრთებით და ბოლოთი და მოძრაობს საავიაციო პროპელერის საშუალებით. საჭიროების დროს, სულ რამოდენიმე წუთში შეგიძლიათ დაუკეცოთ ფრთები თქვენ მფრინავ მანქანას და გადააქციოთ ის ჩვეულებრივ ავტომობილად, რომლის განი არ აღემატება ორ არშინს და, მაშისადამე, თავისუფლად შეუძლია ქროლვა ქალაქის ქუჩებშიაც,

მეორე გამომგონებელი, ერთი უნგრელი ინჟინერი კიდევ უფრო შორს წავიდა. მისი მოდელი წარმოადგენს აეროპლანისა და ველოსიპედის კომბინაციას, ამ მოდელს დიდი სენსაცია გამოუწვევია ლონდონში გამოგონებათა გამოფენაზე. ეს მანქანაც მოძრაობს საავიაციო პროპელერის საშუალებით. არა აქვს მოტორი; საკმარისია ადამიანის ფეხებით მუშაობა, როგორც ველოსიპედზე. ამ საკვირველი მანქანით შეიძლება სურვილისამებრ, ჰაერშიც იფრინოს კაცმა და მიწაზედაც იმგზავროს, როგორც ჩვეულებრივი ველოსიპედით.



პასუხისმგებელი რედაქტორი: ა. მიქაძე.

შინაარსი:

1. სოფლად მომუშავე განათლების მუშაკებს 1
2. სოფლის მასწავლებელო ჯერი შენზეა 3

პროფესიონალური ცხოვრება.

3. პროფ. **გ. ახვლედიანი**: საქ. მეცნიერების მუშაკთა სარესპუბლიკო კონფერენციის გამო 6
4. **ტრ. ხუნდაძე**: მასწავლებლის მუშაობა სოფლად 9

ადგილებიდან.

5. ამხ. თ. აბულაძე 12
6. წუგდიდი. სამაზრო კონფერენცია 13

ადგილკომების მუშაობა.

7. ერწო;გვ. 14, 8. საჩამიასერი; გვ. 15, 9. ლეღვ-მარელისი 16

ახალი სკოლის საკითხები.

10. **ი. გავრილოვი.** ტფილისის პოლიტეხნ. ინსტიტუტის 10 წლის თავი . . 17
11. **დ. ყიფშიძე**: საზოგადოებათმეცნიერება სკოლაში 21
12. **დ. ასათიანი.** ნიჭიერების გამორკვევის საკითხი ბავშთა ფსიქოლოგიაში . 23
13. **დ. შარაშიძე**: ბავშის სიცილი 25

სკოლის გარეშე განათლება.

14. **იდ. კილაძე**: ბიბლიოთეკა და თვითგანვითარება 28
15. **კანელი**: ტფილისის ბიბლიოთეკები 31

ხელოვნება.

16. **მ. თოიძე**: ავტობიოგრაფია 34
17. **კანელი**: ნეკრასოვი 37

ბიბლიოგრაფია.

18. ასე აღარ შეიძლება 39
19. ძიძიგური და აფხაძე 40
20. გვაზავა და ბახტაძე 42
21. მოსე გოგიბერიძე 43

ნარევი. 46

ფასი 40 კაპ.

ბ 20 მუ
1928



სტამბა ,,ზარია ვოსტოკა-“სი, წულუკიძის ქუჩა, № 4.

შეკვ. № 730 მთავლ. № 209 ტირაჟი 2500